

თეიმურაზ ტრეტიაძე

მათემატიკური  
ამოცანები  
40-ზე

თბილისი 2015

## მათემატიკური ამოცანები 40-ზე

წინამდებარე წიგნი განკუთვნილია მათთვის ვისაც მათემატიკა უყვარს ან უნდა რომ უყვარდეს, ასევე საშუალო სკოლის მოსწავლეებისათვის, მასწავლებლებისათვის და აბიტურიენტებისათვის.

წიგნში მოცემულია 300-ზე მეტი ამოცანა ელემენტარული მათემატიკის მთელი კურსის გასამეორებლად, რომელშიც მონაწილეობას იღებს რიცხვი 40-ი. მოყვანილია მათემატიკის საატესტატო გამოცდების ნიმუშები თავისი ამოხსნებითა და მეთოდური მითითებებით, ასევე საატესტატო გამოცდებზე წარმოდგენილი ამოცანების მსგავსი სავარჯიშოები და საგამოცდო ტესტი თვითმემონუმებისათვის.

წიგნის ბოლოში კი გადმოცემულია ელემენტარული მათემატიკის რთული და სახალისო ამოცანები.

**რედაქტორი:** თეიმურაზ ორმოცაძე - პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

### რეცენზენტები:

1. **ალეკო გუმბერიძე** - 116 საჯარო სკოლის მათემატიკის სერთიფიცირებული მასწავლებელი.
2. **ლევან კირთაძე** - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

© გამომცემლობა - "დამანი"

ISBN 978-9941-0-8132-3

მათემატიკური ამოცანები 40-ზე

**თეიმურაზ ორმოცაძე**

**მათემატიკური  
ამოცანები  
40-ზე**

თბილისი 2015

მათემატიკური ამოცანები 40-ზე

## თეიმურაზ ორმოცაძე

მათემატიკური ამოცანები 40-ზე

ამოხსნებითა და მეთოდური მითითებებით

თბილისი 2015

**”ფორმალური განათლება დაგეხმარებათ იარსებოთ,  
თვითგანათლება მიგიყვანთ წარმატებამდე”  
ჯიმ რონი.**

## შესავალი

წიგნში თავმოყრილი ამოცანები საშუალებას მისცემს აბიტურიენტებს გაიმეორონ მათემატიკის სრული კურსი და შეამონმონ საკუთარი ცოდნა.

ასევე წინამდებარე წიგნი ფასდაუდებელ დახმარებას გაუწევს მოსწავლეებს საატესტატო გამოცდებისათვის მომზადებაში და აბიტურიენტებს ეროვნული გამოცდების წარმატებით დაძლევაში.

როგორც წიგნის სათაურიდან ჩანს, რიცხვი 40 მონაწილეობას მიიღებს როგორც ამოცანის პირობაში, ასევე მის ამონახსენში. რაც ზოგიერთ შემთხვევაში ამოცანის ამოხსნის გზების მოძიებაში დაეხმარება მოსწავლეებსა და აბიტურიენტებს.

სკეპტიკოსებისთვის კი ვიტყვით, რომ წინასწარი ინფორმაცია ამოცანის შესახებ, თუნდაც ამონახსენი - ვერავითარ ნეგატიურ გავლენას ვერ მოახდენს მოსწავლის ან აბიტურიენტის ცოდნაზე, რაშიც არა ერთი წელია ვრწმუნდებით ექსპერიმენტის საშუალებით.

## მათემატიკური ამოცანები 40-ზე

ვარსკვლავიანი ამოცანები კი განსაკუთრებულ ძალისხმევას და ცოდნას მოითხოვენ ყველა იმათგან ვინც მათ „შეეჭიდება“.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე გამოყენებული ის ამოცანები რომლებშიც მონაწილეობას ღებულობს რიცხვი 40. ასეთი ამოცანები გამოყოფილნი არიან სპეციალური ნიშნით.

მაგალითად: (2006-II-40) ნიშანი ნომრის შემდეგ - მიგვითითებს გამოცდის ჩაბარების წელზე, ვარიანტზე და ამოცანის ნომერზე. ამ ტიპის ამოცანებს თან ერთვის ამოხსნები და მეთოდური მითითებები.

წიგნის ბოლოში კი მოყვანილია სახალისო და თავსატეხი ამოცანები სხვადასხვა სფეროდან, რომლის გაკეთებასაც ვურჩევთ ყველას, ყველას ვისაც ეს წიგნი უკვე ჩაუვარდა ხელში, განურჩევლად სქესისა, სარწმუნოებისა და რაც მთავარია - ასაკისა.

წიგნთან დაკავშირებული შენიშვნები და საქმიანი წინადადებები, შეგიძლიათ გამოგზავნოთ [Ormocadze@mail.ru](mailto:Ormocadze@mail.ru) მისამართზე ან დარეკოთ 599-11-38-55 ტელეფონზე, რისთვისაც წინასწარ გიხდით მადლობას.

გისურვებთ წარმატებას.

## მათემატიკური ამოცანები 40-ზე

### თავი I. მათემატიკური ამოცანები

1. გამოთვალეთ:  $(40 - 17) \cdot (1002 - 289) - 2315 \cdot 4$ .

2. გამოთვალეთ:  $-40 \cdot 0 : 40$ .

3. რამდენი წყალი უნდა დავამატოთ 40 ლ სპირტს, რომლის სიმაგრე  $90^{\circ}$ -ია, რომ მიღოთ  $50^{\circ}$ -იანი სიმაგრის სპირტი?.

4. ერთი მეტრი ქსოვილის ფასის 10%-ით შემცირების შემდეგ 36 ლარი ღირს. რა ღირდა ერთი მეტრი ქსოვილი ფასის შემცირებამდე?.

5. რიცხვი 40 წარმოდგენილია ოთხი ნატურალური თანამამრავლის სახით, რომლებთაგან თითოეული 1-ზე მეტია და არ აღემატება 5-ს. იპოვეთ, ამ თანამამრავლთა შორის უდიდესისა და უმცირესის ჯამი.

6. იპოვეთ  $-40$ -ის 7-ზე გაყოფისას მიღებული ნაშთი.

მათემატიკური ამოცანები 40-ზე

7. იპოვეთ ორი მთელი რიცხვი რომელთა შორისა მოთავსებული რიცხვი  $\sqrt{40}$ .

8. რომელია მეტი:  $2\sqrt{10} + 1$  თუ  $\sqrt{40}$ .

9. გამოთვალეთ:  $33,3; 1,11 + 10$ .

10. გამოთვალეთ:  $\left(\frac{1}{10} + \frac{1}{5} + \frac{1}{2}\right) \cdot 50$ .

11. გამოთვალეთ:  $15\frac{2}{5} : 2\frac{1}{5} - 1,5 \cdot \left(8,5 - 7\frac{5}{6}\right) + 34$ .

12. ჩაწერეთ ორობით სისტემაში რიცხვი 40.

13. დაყავით 40-ი 3-ისა და 5-ის პროპორციულ ნაწილებად.

14. იპოვეთ 40-ის 20%-ი.

15. იპოვეთ რიცხვი რომლის 40%-ი არის 40-ი.

16. ოთხი ძმის საშუალო ასაკი 11 წელია, რისი ტოლი იყო მათი ასაკთა ჯამი ერთი წლის წინ.

17. ნიკამ 40 გვერდიანი წიგნი ორ დღეში წაიკითხა. პირველ დღეს მან 2-ი გვერდით მეტი წაიკითხა ვიდრე მეორე დღეს, რამდენი გვერდი წაუკითხია ნიკას პირველ დღეს?.

18. რომელია მეტი:  $\frac{39}{40}$  თუ  $\frac{2}{3}$ .

მათემატიკური ამოცანები 40-ზე

19. დაალაგეთ ზრდის მიხედვით  $\frac{1}{30}$ ,  $\frac{5}{42}$ ,  $\frac{3}{40}$  რიცხვები.

20. რომელი უფრო შორსაა რიცხვითი ღერძის სათავიდან 40 თუ -40?

21. სალომემ, ნინიმ და ანიმ 40 სოკო შეაგროვეს. ისე, რომ მათი შეგროვილი სოკოების რაოდენობა 2-ის, 3-ისა და 3-ის პროპორციულია შესაბამისად. რამდენი სოკო შეაგროვა ნინიმ.

22. იპოვეთ ორი რიცხვიდან უდიდესი. თუ მათი საშუალო 30-ის ტოლია და ის მეორეზე 2-ჯერ მეტია.

23. აახარისხეთ:  $(2x^4y^3)^{10}$ .

24. შეასრულეთ მოქმედება:  $(x^5)^8$ .

25. გაამარტივეთ:  $\frac{(x^2)^8 \cdot (x^4)^8}{x^{-8}}$ .

26. გაამარტივეთ:  $(2((b^3)^8) + 18b^{18}) \cdot \frac{b^{22}}{2}$ .

27. შეასრულეთ მოქმედება:  $(b - 40)^2$ .

28. შეასრულეთ მოქმედება:  $(2x + 10)^2$ .

29. შეასრულეთ მოქმედება:  $\left(\frac{x}{8} - 160\right)^2$ .

მათემატიკური ამოცანები 40-ზე

30. დაშალეთ მამრავლებად:  $x^2 - 40$ .

31. გაიტანეთ საერთო მამრავლი ფრჩხილებს გარეთ:  
 $3x^2y - 120xy$ .

32. დაშალეთ მამრავლებად:  $40a + 40b$ .

33. დაშალეთ მამრავლებად:  $x(a - b) - 40a + 40b$ .

34. დაშალეთ მამრავლებად:  $40a + 40b - x(a + b)$ .

35. გამოთვალეთ:  $41^2 - 40^2$ .

36. გამოთვალეთ:  $37^2 + 2 \cdot 37 \cdot 3 + 3^2$ .

37. გამოთვალეთ:  $65^2 - 2 \cdot 65 \cdot 25 + 25^2$ .

38. გამოთვალეთ:  $\frac{15 \cdot 16 \cdot 18 \cdot 20}{45 \cdot 8 \cdot 6}$ .

39. გამოთვალეთ:  $\frac{132^2 - 3^2}{107^2 - 57^2} \cdot 20$ .

40. იპოვეთ გამოსახულების მნიშვნელობა:  $\frac{a^2 - 4b^2}{a - 2b}$  თუ  $a = 22$   
და  $b = 9$ .

41. იპოვეთ გამოსახულების მნიშვნელობა:  $6 \cdot \frac{ab^2 + a^2b}{a^3b - ab^3}$ , თუ  
 $a = 0,25$  და  $b = \frac{1}{10}$ .

მათემატიკური ამოცანები 40-ზე

42. გამოიტანეთ მამრავლი ფესვიდან:  $\sqrt{40}$ .

43. გამოიტანეთ მამრავლი ფესვიდან:  $40 \cdot \sqrt[3]{\frac{1}{8}x^6y^3z^2}$ .

44. გამოიტანეთ მამრავლი ფესვიდან:  $m^{40} \cdot \sqrt{\frac{27n^{30}}{m^{20}}}$ .

45. შეიტანეთ მამრავლი რადიკალის ნიშნის ქვეშ:  $2\sqrt{10}$ .

46. შეიტანეთ მამრავლი რადიკალის ნიშნის ქვეშ:  $2\sqrt[3]{5}$ .

47. შეიტანეთ მამრავლი რადიკალის ნიშნის ქვეშ:  $\frac{2}{5}a\sqrt{250a^7}$ .

48. შეკვეცეთ ფესვისა და ფესვეჭემა გამსახულების მაჩვენებლები:  $\sqrt[4]{a^{40}}$ .

49. შეკვეცეთ ფესვისა და ფესვეჭემა გამსახულების მაჩვენებლები:  $\sqrt[40]{y^2}$ .

50. შეკვეცეთ ფესვისა და ფესვეჭემა გამსახულების მაჩვენებლები:  $\sqrt[40]{b^{40}}$ .

51. შეასრულეთ მოქმედებები:

$$\left( (2\sqrt{18} + 3\sqrt{8}) + (3\sqrt{32} - \sqrt{50}) \right) \cdot \sqrt{2} + 2.$$

52. შეასრულეთ გამრავლება:  $\sqrt{2} \cdot \sqrt{20}$ .

მათემატიკური ამოცანები 40-ზე

53. შესრულეთ გამრვლება:  $\sqrt[3]{4} \cdot \sqrt{100} \cdot \sqrt[3]{16}$ .

54. მოცემულია  $A = \{2; 4; 20; 40\}$  და  $B = \{3; 6; 30; 40\}$ , იპოვეთ  $A \cap B$ .

55. იპოვეთ  $A$  და  $B$  სიმრავლეების გაერთიანება თუ  $A$  სიმრავლე 40-ის ნატურალურ გამყოფთა სიმრავლეა, ხოლო  $B$  - 40-ის მარტივ გამყოფთა სიმრავლე.

56. იპოვეთ  $A \cap B$  თუ  $A = [20; +\infty[$  და  $B = ]-\infty; 40]$ .

57. ბოთლი საცობით ღირს 40 თეთრი, ბოთლი საცობზე 38-ი თეთრით მეტი ღირს. რა ღირს ბოთლი და რა ღირს საცობი.

58. ჩაწერეთ მოდულის გარეშე:  $|7 - \sqrt{40}|$ .

59. გამოთვალეთ:  $49: \left(1\frac{2}{7} + 1\frac{1}{21}\right) + 19$ .

60. იპოვეთ გამოსახულების მნიშვნელობა:  $\frac{x^4}{16-5x^2} \cdot (x-6)$  ;  
თუ  $x = -4$ .

61. გაამარტივეთ გამოსახულება:  $2 \cdot \left(\frac{\sqrt{11}+3}{\sqrt{11}-3} + \frac{\sqrt{11}-3}{\sqrt{11}+3}\right)$ .

62. გაამარტივეთ გამოსახულება:

მათემატიკური ამოცანები 40-ზე

$$\left( \left( \frac{1}{3}\sqrt{39} - \frac{1}{2}\sqrt{26} \right) : \frac{1}{6}\sqrt{13} + \sqrt{18} \right) \cdot \frac{20\sqrt{3}}{3} .$$

63. იპოვეთ  $40 \cdot \left( \frac{x^2 - x - 5}{x - 1} \right)$  წილადის მნიშვნელობა თუ  $x = \sqrt{5} + 1$  .

64. გაამარტივეთ  $\frac{27^{\frac{1}{3}} - 81^{\frac{1}{4}} \cdot 5}{36^{-\frac{1}{2}}} + 40$  .

65. რამდენი პროცენტით შემცირდება კვადრატის ფართობი, თუ მის გვერდს შევამცირებთ 40%-ით.

66. რამდენი პროცენტით გაიზრდება კვადრატის ფართობი, თუ მის გვერდს გავზრდით 40%-ით.

67. რამდენი პროცენტით შემცირდება წრის ფართობი, თუ მის რადიუსს შევამცირებთ 40%-ით.

68. იპოვეთ, ორ მოსაზღვრე კუთხეების ბისექტრისებს შორის კუთხის  $\frac{1}{4}\pi$ -ი ნაწილი.

69. რას უდრის ორმოცკუთხედის შიგა კუთხეების ჯამი.

70. რას უდრის წესიერი ორმოცკუთხედის შიგა კუთხე.

71. როგორია სამკუთხედი, თუ მისი გვერდებია 30, 40 და 50.

მათემატიკური ამოცანები 40-ზე

72. იპოვეთ მანძილი  $A(3; -40)$  და  $B(3; 0)$  წერტილებს შორის.

73. იპოვეთ მანძილი  $A(40; 0)$  და  $B(0; 40)$  წერტილებს შორის.

74. იპოვეთ  $y = \frac{40}{1-x}$  ფუნქციის განსაზღვრის არე.

75. იპოვეთ  $y = \frac{41}{\sqrt{x-40}}$  ფუნქციის განსაზღვრის არე.

76. იპოვეთ  $y = \frac{1}{4}x^2 - 20x + 3$  ფუნქციის ზრდადობის შუალედი.

77. იპოვეთ  $y = \frac{1}{8}x^2 + 5x - 11$  ფუნქციის კლებადობის შუალედი.

78. იპოვეთ  $y = 40\sin x$  ფუნქციის უდიდესი მნიშვნელობა.

79. იპოვეთ  $y = -x^2 + 40$  ფუნქციის უდიდესი მნიშვნელობა.

80. იპოვეთ  $y = x^2 - 14x + 9$  ფუნქციის უმცირესი მნიშვნელობა.

81. იპოვეთ  $k$ , თუ  $x^2 - kx = 0$  განტოლების ფესვია 40-ი.

82. ამოხსენით განტოლება  $x^2 + 4x - 5 = 0$  და იპოვეთ  $5x_1 - 7x_2$ , თუ  $x_1 > x_2$ .

მათემატიკური ამოცანები 40-ზე

83. ამოხსენით განტოლება  $2x^2 + 3x - 2 = 0$  და იპოვეთ  $40(5x_1 + 10x_2)$  თუ  $x_1 < x_2$ .

84. ამოხსენით განტოლობა  $\frac{x}{3} + 2 = -7$  და იპოვეთ  $x + 67$ .

85. ამოხსენით განტოლობა  $0,4x - 12,03 = 0,13$  და იპოვეთ  $x + 9,6$ .

86. ამოხსენით განტოლობა  $1\frac{3}{4} - 5x = 2\frac{3}{4} : (-3\frac{2}{3})$  და იპოვეთ  $80x$ .

87. გაამარტივეთ და გამოთვალეთ  $\frac{2}{x^2-3x} - \frac{1}{x^2+3x} - \frac{x+1}{x^2-9}$  როცა  $x = -\frac{1}{40}$ .

88. გაამარტივეთ და გამოთვალეთ  $\frac{a^2+16a+12}{a^3-8} - \frac{2-3a}{a^2+2a+4} - \frac{3}{a-2}$  როცა  $a = 2\frac{1}{40}$ .

89. წარმოადგინეთ წილადის სახით და გამოთვალეთ მნი-

შვნელობა  $\frac{p^3-125}{8p^2} \cdot \frac{4p}{p^2+5p+25}$  როცა  $p = -\frac{5}{79}$ .

90. გაამარტივეთ  $\frac{x^2-4x}{x^2+7x} : \frac{49-x^2}{24-6x}$  გამოსახულება და იპოვეთ  $6A$ , სადაც  $A$  არის მოცემული გამოსახულების მნიშვნელობა  $x = 47$  - სათვის.

მათემატიკური ამოცანები 40-ზე

91. გაამარტივეთ და იპოვეთ მისი მნიშვნელობა როცა  $x = 8$

და  $y = 1$ ; 
$$\frac{5x}{x+y} \left( \frac{xy+y^2}{5x^2-5xy} + xy + y^2 \right) - \frac{y}{x-y} .$$

92. გაამარტივეთ გამოსახულება:

$$10 \left( (\sqrt{a} + \sqrt{b})^2 - (\sqrt{a} - \sqrt{b})^2 \right) .$$

93. იპოვეთ გამოსახულების მნიშვნელობა

$$40 \left( \frac{\frac{1}{x^2} - \frac{1}{y^2}}{\frac{1}{x^2y^2} - \frac{1}{xy^2}} - \frac{\frac{1}{x^2} + \frac{1}{y^2}}{\frac{1}{x^2y^2} + \frac{1}{xy^2}} \right) \text{ თუ } x = 12,8 ; y = 5 .$$

94. იპოვეთ გამოსახულების მნიშვნელობა

$$\left( \frac{\frac{a}{a^2} - \frac{b}{b^2}}{\frac{1}{ab} - \frac{a}{ab}} - \frac{\frac{a}{a^2} + \frac{b}{b^2}}{\frac{1}{ab} + \frac{a}{ab}} \right) : \frac{1}{4} \text{ თუ } a = 0,05 \text{ და } b = 0,4 .$$

95. ამოხსენით განტოლება  $\frac{3x+1}{2} = \frac{2x-3}{5}$  და იპოვეთ  $A + 41$ ,  
სადაც  $A$  განტოლების ფესვია.

96. ამოხსენით განტოლება  $2x - (x + 2)(x - 2) = 5 - (x - 1)^2$ .

## მათემატიკური ამოცანები 40-ზე

97. არსებობს თუ არა  $t$  ცვლადის ისეთი მნიშვნელობა, რომლისთვისაც  $t^2 - 2t + 2$  სამწევრის მნიშვნელობა 40-ის ტოლია.

98. ამოხსენით განტოლება  $\frac{(2x+1)^2}{25} - \frac{x-1}{3} = x$  და იპოვეთ  $39x_1 + 3x_2 + 6$  გამოსახულების მნიშვნელობა, სადაც  $x_1 < x_2$  განტოლების ფესვებია.

99. ამოხსენით განტოლება  $\frac{1}{x^2-9} + \frac{1}{3x-x^2} = \frac{3}{2x+6}$  და იპოვეთ  $13\frac{1}{3}(x_1 + x_2)$  გამოსახულების მნიშვნელობა, სადაც  $x_1; x_2$  განტოლების ფესვებია.

100. ორნიშნა რიცხვის ათეულების ციფრი 4-ით მეტია ერთეულების ციფრზე, ხოლო ამ ორნიშნა რიცხვის ნამრავლი მისივე ციფრების ჯამზე 160-ის ტოლია. იპოვეთ ეს რიცხვი.

101. ერთი პუნქტიდან მეორეში, რომელთა შორის მანძილი 160 კმ-ია, ერთდროულად ორი ავტომობილი გაემგზავრა. პირველის სიჩქარე 8 კმ/სთ-ით მეტი იყო მეორის სიჩქარეზე. ამიტომ იგი დანიშნულების ადგილზე 40 წთ-ით ადრე მივიდა. იპოვეთ ავტომობილების სიჩქარე.

მათემატიკური ამოცანები 40-ზე

102. იპოვეთ  $a$  და  $b$  რიცხვების საშუალო ართმეტიკული, თუ  $a$ -ს,  $b$ -ს და 20-ის საშუალო ართმეტიკულია 40-ი.

103. ამოხსენით განტოლება  $2\frac{1}{4}x + 5\frac{3}{8} = 95\frac{3}{8}$ .

104. ამოხსენით განტოლება  $\frac{x}{8} + \frac{x}{5} = 13$ .

105. ამოხსენით განტოლება  $\frac{5-a}{7} = -\frac{a-15}{5}$ .

106. ამოხსენით განტოლება  $3 - \frac{3x-20}{20} = 38 - x$ .

107. ამოხსენით განტოლება  $\frac{40}{x-8} = 2 \cdot \frac{70}{x-3}$ .

108. ამოხსენით განტოლება  $\frac{3x}{2} + \frac{2x+3}{3} = 40$ .

109. ამოხსენით  $3(x-40) = 5(x-b)$  განტოლება  $x$  ცვლადის მიმართ.

110. ამოხსენით  $a^2y + 40y = 40 - 40y$  განტოლება  $y$  ცვლადის მიმართ.

111. ამოხსენით განტოლებათა სისტემა  $\begin{cases} x - 2y = 40 \\ 3x + y = 43 \end{cases}$ .

112. ამოხსენით განტოლებათა სისტემა

მათემატიკური ამოცანები 40-ზე

$$\begin{cases} 2(x+3) = 18 - 2y \\ 3(x-10) = -5y - 80 \end{cases}$$

113. ამოხსენით განტოლებათა სისტემა  $\begin{cases} \frac{x}{2} - \frac{y}{3} = 0 \\ \frac{x}{5} + \frac{y}{12} = 13 \end{cases}$ .

114. ამოხსენით განტოლებათა სისტემა  $\begin{cases} \frac{x-2y}{3x-y} = \frac{2}{7} \\ \frac{x+y}{x-5} = 1 \frac{1}{12} \end{cases}$ .

115. იპოვეთ ნატურალური რიცხვების ერთი წყვილი მაინც, როლისთვისაც სრულდება  $3x + 4y = 40$  ტოლობა.

116. იპოვეთ ნატურალური რიცხვების ერთი წყვილი მაინც, როლისთვისაც სრულდება  $4x + 5y = 40$  ტოლობა.

117. ამოხსენით უტოლობა  $x + 5 < 45$ .

118. ამოხსენით უტოლობა  $40 + 2a > 7$ .

119. ამოხსენით ორმაგი უტოლობა  $-20 < b + 3 < 40$ .

120. ამოხსენით უტოლობა  $\frac{5x}{6} - \frac{3x-1}{3} + \frac{2x-1}{2} < 40$ .

121. რა შუალედში იცვლება  $40 \cdot a$  თუ  $a \geq 1$ .

122. რა შუალედში იცვლება  $-8 \cdot b$  თუ  $-7 < b \leq 5$ .

მათემატიკური ამოცანები 40-ზე

123. რა შუალედში იცვლება  $x - y$  თუ  $x > 3; y < -37$ .

124. რა შუალედში იცვლება  $m + n$  თუ


$$-17 \leq m \leq 23; \quad -23 \leq n \leq 17.$$

125. რა შუალედში იცვლება  $k - t$  თუ  $k < 40; -3 \leq k \leq 0$ .

126. რა შუალედში იცვლება  $4x + 3y$  თუ

$$-40 \leq x \leq 40; \quad -40 \leq y \leq 40.$$

127. ნახაზის მიხედვით იპოვეთ  $\alpha$




128. 960 დაყავით 11-ისა და 13-ის პროპრციულ ნაწილებად.

129. გამოთვალეთ:  $(51,8 + 44,3 + 48,2 - 24,3) \cdot \frac{1}{3}$ .


130. იპოვეთ  $\angle ABC$ , თუ  $x + y = 46^\circ$ ;  $y + z = 40^\circ$ ;  $x + z = 34^\circ$  იხილეთ ნახაზი.

A

მათემატიკური ამოცანები 40-ზე



131.  $P$  არის  $ABCD$  ოთხკუთხედის  $AB$  და  $CD$  გვერდების შუამართობების გადაკვეთის წერტილი;  $P$ -დან  $A, B, C$  და  $D$  წერტილებამდე მანძილების ჯამია  $40$  სმ-ი,  $P$ -დან  $B$  და  $C$  წერტილებამდე მანძილები ტოლია. იპოვეთ  $P$ -დან  $A$  წერტილამდე მანძილი.



132. ცნობილია, რომ  $(3; a)$ ;  $(-2b; 5)$ ;  $(2c; 22,5b)$  და  $(5b; d)$  წყვილები  $20x + y = -11$  განტოლების ამონახსნებია. იპოვეთ  $a, b, c$  და  $d$ .

133. შედარეთ ერთმანეთს:  $165 - 2\frac{7}{65}$  და  $40 \times 3\frac{5}{7}$ .

134. რამდენი პროცენტია  $0,5$ -ის  $0,2$ -ი?.

## მათემატიკური ამოცანები 40-ზე

135. მართკუთხა პარალელეპიპედის დიაგონალია 7 სმ-ია, ხოლო გვერდითი წახნაგის დიაგონალებია  $2\sqrt{6}$  სმ და  $\sqrt{33}$ . იპოვეთ პარალელეპიპედის ზედაპირის ფართობი.

136. 2 საათში მსუბუქმა ავტომობილმა 40 კმ-ით მეტი გაიარა, ვიდრე სატვირთო ავტომობილმა. მსუბუქის სიჩქარე 1,5-ჯერ მეტი იყო სატვირთოს სიჩქარეზე. იპოვეთ თითოეული ავტომობილის სიჩქარე.


137. ტურისტმა მეორე დღეს გაიარა რა პირველ დღეს გავლილი გზის  $\frac{1}{3}$  ნაწილი, ორივე დღეს გავლილი მანძილი 40 კმ აღმოჩნდა. რამდენი კილომეტრი გაიარა მან მეორე დღეს?.

138. ქსოვილის ფასმა მოიმატა თავისი ფასის 10%-ით და გახდა 44 ლარი. რამდენი ლარი ღირდა ქსოვილი გაძვირებამდე?.

139. ბოსტნეულის ფასმა მოიკლო ჯერ 40%-ით, შემდეგ კი - 20%-ით. რამდენი პროცენტით უნდა მოიმატოს ფასმა, რომ იგი გაუტოლდეს თავდაპირველ ფასს?.


140. ტოლფერდა მართკუთხა სამკუთხედის თითოეული კათეტი 20 სმ-ის ტოლია. სამკუთხედში ჩახაზულია მართკუთხედი  $MNPC$ . იპოვეთ ამ მართკუთხედის პერიმეტრი.

მათემატიკური ამოცანები 40-ზე



141. ოსტატმა შეკვეთილი სამუშაოს 20% შეასრულა 8 საათში. რამდენ საათში შესრულებს ის მთელ სამუშაოს?.

142.  $ACB$  მართკუთხა სამკუთხედის ფართობი  $40 \text{ სმ}^2$ -ის ტოლია.  $MN$  შუახაზია. იპოვეთ  $AMN$  სამკუთხედის ფართობი.



143. ამოხსენით განტოლებათა სისტემა 
$$\begin{cases} x^2 + y^2 = 40 \\ x + y = 8 \end{cases}$$

144. გამოთვალეთ:  $\frac{\sin 40^\circ}{\cos 70^\circ \cdot \cos 20^\circ}$ .


145. ამოხსენით განტოლება:

მათემატიკური ამოცანები 40-ზე

$$a(2a + 4)x^2 - (a + 2)x - 5a - 10 = 0 .$$

146. ამოხსენით უტოლობათა სისტემა: 
$$\begin{cases} 2,5x < 100 \\ 1,2x < 48 \\ -10x < 40 \end{cases} .$$

147.  $\angle C = 90^\circ$ ,  $CK$  სიმაღლეა,  $CO$  მედიანა,  $BC = 12\sqrt{41}$  სმ.  
 $\frac{CK}{CO} = \frac{40}{41}$ . იპოვეთ  $CK$  და  $CO$ .



148. იყიდეს 40 კგ სოკო, რომელშიც გადაიხადეს 180 ლარი. გაშრობისას სოკომ თავისი წონის 40 % -ი დაკარგა. რა ფასად უნდა გაიყიდოს 1 კგ გამშრალი სოკო, რომ თანხაში არც მოიგონ და არც წააგონ.

149. მართკუთხა სამკუთხედში დიდი კათეტის სიგრძეა 40 დმ-ია. მისი მოპირდაპირე კუთხის კოსინუსი  $\frac{1}{\sqrt{5}}$ -ია. იპოვეთ ჰიპოტენუზა და მეორე კათეტი.

მათემატიკური ამოცანები 40-ზე

150. ბავშვმა ჩაიფიქრა რიცხვი. ეს რიცხვი მან ჯერ შეამცირა 200-ით, შემდეგ კი შეამცირა 15-ჯერ და პასუხად მიიღო 40. რა რიცხვი ჩაიფიქრა ბავშვმა?.

151. წრენირზე შემოხაზულია ტოლფერდა ტრაპეცია, რომლის ერთ-ერთი კუთხე  $150^{\circ}$ -ია. ტრაპეციის შუახაზი 40-სმ-ია. იპოვეთ წრენირის რადიუსი.

152. კონუსის სიმაღლე 40 სმ. იპოვეთ იმ კვეთის ფართობი, რომელიც გადის კონუსის წვეროზე და ფუძის ქორდაზე, რომლის მოჭიმული რკალის გრადუსული ზომა არი  $60^{\circ}$ , თუ ეს კვეთა ფუძის სიბრტყესთან აღგენს  $30^{\circ}$ -იან კუთხეს.

153. შეადარეთ ერთმანეთს  $\frac{37}{67}$  და  $\frac{377}{677}$ .

154. გამოთვალეთ:  $S = \frac{1}{1+x+xy} + \frac{1}{1+y+yz} + \frac{1}{1+z+zx}$ , თუ  $40xyz = 40$ .

155. რას უდრის  $8\alpha$ , სადაც  $\alpha$  - არის ციფრი რომლითაც ბოლოვდება შემდეგი სხვაობა


$$1 \cdot 2 \cdot 3 \cdot \dots \cdot 98 \cdot 99 - 1 \cdot 3 \cdot 5 \cdot \dots \cdot 97 \cdot 99.$$

156. ამოხსენით განტოლებათა სისტემა: 
$$\begin{cases} x(y+z) = 5 \\ y(x+z) = 10 \\ z(x+y) = 13 \end{cases}$$

მათემატიკური ამოცანები 40-ზე

157. ამოხსენით განტოლებათა სისტემა: 
$$\begin{cases} xy(x+y) = 30 \\ x^3 + y^3 = 35 \end{cases}$$

158. ნახაზის მიხედვით იპოვეთ  $5(k+b)$  თუ  $S_{\triangle AOB} = 9$  სმ<sup>2</sup>.



159. ერთი პუნქტიდან მეორეში, რომელთა შორის მანძილი 160 კმ-ი, ერთდროულად ორი მოტოციკლეტისტი გაემგზავრა. პირველის სიჩქარე 8 კმ/სთ-ით მეტი იყო მეორის სიჩქარეზე, ამიტომ იგი დანიშნულების ადგილზე 40 წთ-ით ადრე მივიდა. იპოვეთ მოტოციკლისტების სიჩქარეები.

## მათემატიკური ამოცანები 40-ზე

160. სადგურიდან 12 კმ-ით დაშორებული სოფლისაკენ გავიდა ტრაქტორი. ნახევარი საათის შემდეგ სადგურიდან იმავე მიმართულებით გავიდა სატვირთო ავტომანქანა. როცა ავტომანქანა სოფელში მივიდა ტრაქტორს კიდე დარჩენილი ჰქონდა 3 კმ გასავლელი. იპოვეთ ტრაქტორის და ავტომანქანის სიჩქარეების ჯამი, თუ ცნობილია, რომ მანქანის სიჩქარე 20 კმ/სთ-ით მეტია ტრაქტორის სიჩქარეზე.

161. ამოხსენით განტოლება:  $\frac{3^x + 3^{-x}}{3^x - 3^{-x}} = 1,025$ .

162. გამოთვალეთ:  $\cos 40^\circ \cos 50^\circ + \sin 40^\circ \sin 50^\circ$ .

163. პარალელოგრამის დიაგონალები 10 სმ და 12 სმ-ია. ერთ-ერთი გვერდი 9 სმ-ის ტოლია. იპოვეთ პარალელოგრამის ფართობი.

164. ტოლფერდა სამკუთხედის წვეროსთან მდებარე  $40^\circ$  -ია. იპოვეთ ფუძესა და ფერდზე დაშვებულ სიმაღლეს შორის მდებარე კუთხე.

165. ორივე კათეტიდან თანაბრად დაშორებული წერტილიდან, რომელიც ჰიპოტენუზაზე მდებარეობს, მას ყოფს 30 სმ და 40 სმ ტოლ მონაკვეთებად. იპოვეთ მართკუთხა სამკუთხედის კათეტები.

მათემატიკური ამოცანები 40-ზე

166. სიბრტყიდან 30-ის ტოლი მანძილით დაშორებული წერტილიდან გავლებულია დახრილი. იპოვეთ ამ დახრილის სიგრძე, თუ მისი გეგმილი სიბრტყეზე 40-ის ტოლია.

167. მართკუთხედის ერთი გვერდი 8 სმ-ით ნაკლებია მეორეზე, ხოლო დიაგონალების გადაკვეთის წერტილიდან მის გვერდებამდე მანძილების ჯამი 28 სმ-ის ტოლია. იპოვეთ ამ მართკუთხედის დიაგონალი.

168. ამოხსენით განტოლებათა სისტემა: 
$$\begin{cases} 6x - 7y = 40 \\ 5y - 2x = -8 \end{cases}$$

169. იპოვეთ  $n(A)$  თუ  $n(A \cup B) = 63$  ;  $n(A \cap B) = 23$  ;  $n(B) = 46$  .

170. ამოხსენით განტოლება:  $5^{1 \frac{1}{2}(2x-8)} \cdot 8^{1 \frac{1}{2}(2x-8)} = 1600$  .

171. გამოთვალეთ:  $\sqrt{40\sqrt{2} + 57} - \sqrt{32}$  .

172. გამოთვალეთ:  $-(-2\sqrt[3]{5})^3$  .

173.  $AB$  მონაკვეთი კვეთს  $\alpha$  სიბრტყეს  $P$  წერტილში.  $AB = 41$  სმ.  $A$  და  $B$  წერტილებიდან სიბრტყემდე მანძილები, შესაბამისად, 4 სმ და 5 სმ-ია. იპოვეთ  $AB$  მონაკვეთის  $\alpha$  სიბრტყეზე გეგმილის სიგრძე.

## მათემატიკური ამოცანები 40-ზე

174. ტვირთის წასაღებად 5 ტონა თვითამწეობის 60 მანქანა საჭირო, 7,5 ტონა ტვირთმზიდობის რამდენი მანქანა წა-იღებს იგივე ტვირთს?.

175. გამოთვალეთ:  $7^{210} \cdot 4^{5+1} + 5$ .

176. ორი რიცხვის ჯამი 40-ით მეტია ერთ-ერთ შესაკრებზე. იპოვეთ მეორე შესაკრები.

177. სკოლის 400 მოსწავლიდან თითოეული სწავლობს ინგლისურ და გერმანულ ენებიდან ერთ-ერთს მაინც. 250 მოსწავლე სწავლობს ინგლისურს. 190- გერმანულს. რამდენი სწავლობს ორივე ენას?.

178. რამდენი ისეთი წერტილი არსებობს საკოორდინატო სიბრტყეზე, რომლის ერთ-ერთი კოორდინატი ეკუთვნის  $\{-1; 2; 3; 40\}$  სიმრავლეს, ხოლო მეორე კი -  $\{-3; 0; 4; 5; 40\}$  სიმრავლეს.

179. ბირთვი რომლის რადიუსია 41სმ, გადაკვეთილია სიბრტყით, რომელიც ცენტრიდან დაშორებულია 9-სმ-ით. იპოვეთ კვეთის რადიუსი.

180. რას უდრის 50%-ის 40%-ის 30% ?.


181. გეომეტრიულ პროგრესიაში  $S_3 = 40$  ;  $S_6 = 60$  იპოვეთ  $S_9$ .

მათემატიკური ამოცანები 40-ზე

182. არითმეტიკული პროგრესიის პირველი ხუთი კენტ ნომრიანი წევრის ჯამი 40-ის ტოლია, ხოლო პირველი ხუთი ლუნ ნომრიანი წევრის ჯამი კი 60-ის. იპოვეთ ამ არითმეტიკული პროგრესიის სხვაობა.


183. ამოხსენით განტოლება  $\log_2 x^2 = (\log_2 x)^2$  და იპოვეთ  $8A$ , სადაც  $A$  განტოლების ფესვების ჯამის ტოლია.

184. ნახაზის მიხედვით იპოვეთ  $AOB$  სამკუთხედის ფართობი, სადაც  $y = -\frac{5}{4}x + 10$   $AB$  წრფის განტოლებაა.




მათემატიკური ამოცანები 40-ზე

185. სურათზე გამოსახულია კონუსის შლილი. კონუსის ფუძის რადიუსი  $r$ -ის ტოლია, ხოლო შლილის ცენტრალური კუთხე  $40^\circ$  გრადუსია. იპოვეთ კონუსის  $AM$  მსახველი.



186. ნებისმიერი ნატურალური რიცხვისთვის  $x^*$ -აღნიშნულია რიცხვი, რომელიც მიიღება შემდეგი სქემის მიხედვით



რისი ტოლია  $9^* - 4^*$ .

მათემატიკური ამოცანები 40-ზე

187. საკლების, მაკლებისა და სხვაობის ჯამი 80-ის ტოლია. რას უდრის მაკლებისა და სხვაობის ჯამი.

188.  $ABCD$  კვადრატის დიაგონალი 40 სმ-ია. კვადრატში ჩახაზულია  $MNPQ$  მართკუთხედი,  $MN \parallel AC$ . იპოვეთ მართკუთხედის პერიმეტრი.

189. სკოლის 50 მასწავლებლიდან 40 ქალია, 10 - მამაკაცი. ქალების საშუალო ასაკი 40 წელია, მამაკაცებისა - 30 წელი. რისი ტოლია ყველა მასწავლებლის საშუალო ასაკი?.

190. კლასში 40 მოსწავლეა. მათ 5%-ს აქვს თითო ფანქარი. დანარჩენი 95% -ის ნახევარს აქვს ორ-ორი ფანქარი, ხოლო მეორე ნახევარს - არც ერთი. სულ რამდენი ფანქარი აქვთ მოსწავლეებს?.

191. იპოვეთ  $x^2 - 25x + 40 = 0$  განტოლების ფესვთა ნამრავლი.

192. იპოვეთ  $x^2 - 40x + 41 = 0$  განტოლების ფესვთა ჯამი.

193. იპოვეთ  $12(x_1 + x_2) + 10x_1x_2 + 2$  ; სადაც  $x_1$  და  $x_2$  ;  $5x^2 - 3x + 1 = 0$  განტოლების ფესვებია.

მათემატიკური ამოცანები 40-ზე

194. ამოხსენით  $(x^2 - 1)\sqrt{x - 3} = 0$  განტოლება და იპოვეთ 40A, სადაც A - არის ამ განტოლების ნამდვილ ამონახსენთა რაოდენობა.

195. რომელია მეტი:  $\sin 40^\circ$  თუ  $\cos 40^\circ$ .

196. რომელია მეტი:  $2^{40}$  თუ  $5^{10} \cdot 3^{10}$ .

197. რომელია მეტი:  $\sqrt{40}$  თუ  $3\sqrt{5}$ .

198. რომელია მეტი:  $\log_2 40$  თუ  $\log_{40} 2$ .

199. რას უდრის წრეწირის სიგრძე, თუ მისი დიამეტრი 80 სმ-ია.

200. რას უდრის წრეწირის ფართობი, თუ მისი დიამეტრი  $4\sqrt{10}$  სმ-ია.

201. მართკუთხა სამკუთხედის ერთ-ერთი კუთხე  $40^\circ$  -ის ტოლია. იპოვეთ კუთხე რომელსაც მართი კუთხის წვერო-დან გავლებული სიმაღლე მცირე კათეტთან შეადგენს.

202. ტურისტულ ჯგუფში წევრთა  $\frac{2}{9}$  ნაწილი ინგლისელია,  $\frac{1}{3}$  ნაწილი - გერმანელი,  $\frac{1}{9}$  ნაწილი - ფრანგი. მათ გარდა ჯგუფში არიან რუსები, რომელთა რაოდენობა 10-ით მეტია

## მათემატიკური ამოცანები 40-ზე

ფრანგი ტურისტების რაოდენობაზე, სულ რამდენი რუსი, გერმანელი და ინგლისელი ტურისტია ამ ჯგუფში.

203. 2 კილოგრამი და 40 გრამი რამდენი კილოგრამია.

204. თუ  $-1 \leq x \leq 0$  და  $|x+1|+2|x|+1=120$ , მაშინ რას უდრის  $|x|$ .

205. გამოთვალეთ:  $40 \cdot \left(\frac{1}{5}\right)^{-2}$ .

206. იპოვეთ 2014 -ის თავისივე ციფრთა ჯამზე გაყოფისას მიღებული ნაშთის კვადრატისა და 15-ის ჯამი.

207. გამოთვალე:  $\log_5(-5)^{40}$ .


208. იპოვეთ 120A სადაც A-არის ალბათობა იმის, რომ კამათლის გაგორებისას დაჯდება 4-ზე მეტი რიცხვი?.

209. აკვარიუმის ნახევარი წელით არის სავსე. 10 ლიტრი წყლის დამატების შემდეგ აივსო აკვარიუმის  $\frac{1}{4}$  - ნაწილი. რისი ტოლია აკვარიუმის მოცულობა?.

210. პარალელეპიპედი რომლის ფუძის წიბოების სიგრძეებია 10 სმ და 2 სმ. დაყვეს 5 ტოლ კუბად. რამდენი კუბური სანტიმეტრი იყო ამ მართკუთხა პარალელეპიპედის მოცულობა?.

მათემატიკური ამოცანები 40-ზე

211.(2006-I-33) მიწის ნაკვეთს აქვს მართკუთხა ტრაპეციის ფორმა. რომლის ფუძეებია  $BC = 20$  მ და  $AD = 40$  მ. ეს ნაკვეთი  $AB$  ფერდის პარალელური  $MN$  საზღვრით უნდა გაიყოს ტოლი ფართობების მქონე ორ ნაწილად (იხ. ნახაზი). რის ტოლია  $AN$  მონაკვეთის სიგრძე.



212. (2006-II-36) დიასახლისმა ნამცხვრის ცომის მოსაზღვლად 4:5 შეფარდებით ერთმანეთს შეურია შაქარი და ფქვილი. როდესაც მან ნამცხვრის რეცეპტი სამზარეულოს წიგნით შეამოწმა, აღმოჩნდა, რომ შაქარი და ფქვილი 2:7 შეფარდებით უნდა აეღო. საჭირო პროპორციის მისაღებად მან ცომის მასალას დაუმატა 40გ შაქარი და 500გ ფქვილი. სულ რამდენი გრამი შაქარი და რამდენი გრამი ფქვილი გამოიყენა დიასახლისმა ნამცხვრის მოსამზადებლად?.

## მათემატიკური ამოცანები 40-ზე

213. (2006-II-40) მოწველემ განიხილა  $10x^2 - px + p = 0$  სახის კვადრატული განტოლებები, სადაც  $p$  პარამეტრი ღებულობს ყველა მნიშვნელობას  $-20$ -დან  $80$ -ის ჩათვლით. ამ განტოლებებიდან მან ამოხსნა ყველა ის განტოლება, რომელთაც ორ-ორი ამონახსენი გააჩნდა. შემდეგ კი მან იპოვა ყველა მიღებული ამონახსნების ჯამი. რისი ტოლია ეს ჯამი?.

214. (2007-I-20) მართკუთხა პარალელეპიპედის ფორმის აუზში, რომლის ფუძის გვერდებია  $40$ სმ და  $60$ სმ, ასხია წყალი. რამდენი მილიმეტრით აიწვეს წყლის დონე ჭურჭელში, თუ მასში ჩავძირავთ  $240$  სმ<sup>3</sup> მოცულობის ქვას?.

215. (2009-I-18) წრენირში ჩახაზული  $ABC$  კუთხის სიდიდე  $40^\circ$ -ის ტოლია. იპოვეთ წრენირის სიგრძე, თუ ცნობილია, რომ  $AC$  რკალის სიგრძე  $6$ სმ-ია.

216. (2007-III-20) მართკუთხა პარალელეპიპედის ფორმის აკვარიუმიდან, რომლის ფუძის გვერდებია  $50$ სმ და  $80$ სმ, წყლის ნაწილი გადაასხეს ასეთივე ფორმის მქონე მეორე აკვარიუმში, რომლის ფუძის გვერდებია  $40$ სმ და  $75$ სმ. რამდენი სანტიმეტრით აიწია წყლის დონემ მეორე აკვარიუმში, თუ პირველ აკვარიუმში წყლის დონემ  $6$ სმ-ით დაიწია? (8სმ).

მათემატიკური ამოცანები 40-ზე

217. (20012-II-11)  $ABC$  ტოლფერდა სამკუთხედში  $AB = BC$  და  $\angle B = 40^\circ$ .  $CA$  სხივზე აღებულია  $K$  წერტილი ისე, რომ  $BC = CK$ . იპოვეთ  $ABK$  კუთხის სიდიდე.

218. გამოთვალეთ:  $28\frac{3}{8} + 12\frac{1}{5}$ .

219. რამდენით შემცირდება ან გაიზრდება  $\frac{1}{10}$ -ი. თუ მის მრიცხველი და მნიშვნელი შემცირდება 3-3-ით.

220. ორ საათში მსუბუქმა ავტომობილმა 40კმ-ით მეტი გაიარა ვიდრე სატვირთომ. მსუბუქის სიჩქარე 1,5-ჯერ მეტი იყო ვიდრე სატვირთოსი. იპოვეთ სატვირთოს სიჩქარე.

221. აუზის  $\frac{1}{3}$  ნაწილი არის სავსე. შემდეგ მასში ჩაასხეს 40 ლიტრი წყალი რის შემდეგაც აუზი ნახევრამდე შეივსო. რამდენი ლიტრ წყალს იტევს აუზი?.

222. მატარებელს 840 კმ უნდა გაეფლო. შუა გზაზე იგი შეჩერებული იქნა 30 წთ-ით და ამიტომ, დროზე რომ მისულიყო დანიშნულ ადგილზე სიჩქარე უნდა გაედიდებინა 2 კმ-ით საათში. იპოვეთ მატარებლის თავდაპირველი სიჩქარე და დრო რომელიც დასჭირდა მატარებელს მთელი გზის გასავლელად.

## მათემატიკური ამოცანები 40-ზე

223. კვადრატი მიიღება ოთხი ისეთი კვადრატის ერთმანე-თზე მიდგმით, რომელთაგან თითოეულის პერიმეტრია 40მ, იპოვეთ მიღებული კვადრატის ფართობი.

224. ორი კვადრატის გვერდების შფარდებაა 1:3, ხოლო ამ კვადრატების ფართობების ჯამია 40 მ<sup>2</sup>. იპოვეთ კვადრატების გვერდის სიგრძე.

225. მართკუთხედის სიგრძე ოთხჯერ მეტია სიგანეზე და მისი პერიმეტრია 40მ. იპოვეთ მართკუთხედის ფართობი.

226. დავითი სამი წლის წინ 5-ჯერ დიდი იყო გიორგიზე. ორი წლის წინ - 3-ჯერ დიდი. რამდენი წლისაა თითოეული მათგანი?

227. კაბა და ქურქი ერთად 220 ლარი ღირდა, ქურქზე 25%-იანი და კაბაზე 12%-იანი ფასდაკლების შემდეგ ორივეს ფასი ერთად 175 ლარი და 40 თეთრი გახდა. იპოვეთ კაბისა და ქურქის თავდაპირველი ფასები.

228. მასწავლებელმა ბავშვებს 40 ბარათი ისე გაუნაწილა, რომ ბარათის გარეშე არც ერთი მათგანი არ დარჩენილა. თითოეულს ერთმანეთისგან განსხვავებული რაოდენობის ბარათი შეხვდა. მაქსიმუმ რის ტოლი შეიძლება ყოფილიყო ბავშვების რაოდენობა?

მათემატიკური ამოცანები 40-ზე

229. ამოხსენით უტოლობა:

$$\frac{x^2}{0,1x - 4} \geq 0.$$

230. ამოხსენით უტოლობა:

$$\frac{(x - 40)^2}{x + 1} \leq 0.$$

231.  $MN$  შუახაზია,  $ABC$  სამკუთხედის ფართობია  $40 \text{ სმ}^2$ -ი. იპოვეთ  $MBN$  სამკუთხედის ფართობი.

232. მართი პარალელეპიპედის ფუძის გვერდებია  $16 \text{ სმ}$  და  $30 \text{ სმ}$ , მათ შორის კუთხე არის  $60^\circ$ ,  $BD$  ფუძის მცირე დიაგონალია ამასთანავე,  $B_1BD_1D$  დიაგონალური კვეთის ფართობი  $260 \text{ სმ}^2$  -ია. იპოვეთ სრული ზედაპირის ფართობი.

233.  $A$  წერტილი ძევს  $\alpha$  სიბრტყეზე,  $AB$  მონაკვეთის სიგრძე თავისივე გეგმილის ( $\alpha$  სიბრტყეზე) სიგრძეს ისე შეეფარდება, როგორც  $29:21$ ,  $AB = 58 \text{ სმ}$ . იპოვეთ მანძილი  $B$  წერტილიდან სიბრტყემდე.

234.  $A$  წერტილიდან სიბრტყისადმი გავლებულია ორი დახრილი,  $AB$  და  $AC$ . იპოვეთ მათი სიგრძეები, თუ მათი

## მათემატიკური ამოცანები 40-ზე

გეგმილები 12 სმ და 40 სმ-ია და ერთ-ერთი დახრილი მეორეზე 26 სმ-ით გრძელია.

235. პირამიდის ფუძე  $ABC$  ტოლფერდა სამკუთხედი,  $AB = BC = 25$  სმ,  $AC = 40$  სმ. პირამიდის სიმაღლე  $MB$  გვერდითი წიბოა,  $MB = 8$  სმ. იპოვეთ პირამიდის გვერდითი ზედაპირის ფართობი.

236.  $KABCD$  წესიერი ოთხკუთხა პირამიდის მოცულობა 120 სმ<sup>3</sup>-ია.  $M$  წერტილი  $KC$ -ს ჰყოფს 1:2 შეფარდებით  $K$  წვეროს მხრიდან. იპოვეთ  $MBCD$  პირამიდის მოცულობა.

237. ბანკში 8 განყოფილებაა. თითოეულ განყოფილებაში 10-დან 16-მდე ბიუროა. ყოველ ბიუროში არანაკლებ 40 და არაუმეტეს 60 თანამშრომელია. ყოველ ბიუროს თანამშრომელთა 10% მბეჭდავია. რას უდრის თითოეულ განყოფილებაში მბეჭდავთა მინიმალური რაოდენობა?.

238. გამოთვალეთ 12, 15 და 13 რიცხვების საშუალო არითმეტიკული.

239. მალაზიაში მომუშავე 5 თანამშრომლის საშუალო ანაზღაურებაა 100 ლარი, დანარჩენი 15 თანამშრომლის საშუალო ანაზღაურება კი 200 ლარი. რამდენი პროცენტით

## მათემატიკური ამოცანები 40-ზე

გაიზრდება თანამშრომლების საშუალო ხელფასი, თუ ყოველი მათგანის ხელფასი 10 ლარით გაიზრდება?.

240. დანერეთ  $A(-5; 0)$  და  $B(2; 8)$  წერტილებზე გამავალი წრფის განტოლება.

241. სამი რიცხვის ჯამი 94-ის ტოლია. ცნობილია, რომ პირველი რიცხვი 18-ით ნაკლებია მეორეზე, მესამე კი 4-ით მეტია მეორეზე. იპოვეთ ეს რიცხვები.

242. სამკუთხედის ერთი გვერდი მეორეზე ორჯერ მეტია, მესამე გვერდი კი მეორეზე 5-ით მეტი. გამოთვალეთ სამკუთხედის გვერდები, თუ მისი პერიმეტრია 85 სმ.

243. კალათაში 2-ჯერ ნაკლები ვაშლი იყო, ვიდრე ყუთში. მას შემდეგ, რაც კალათიდან ყუთში 10 ვაშლი გადააწვეს, ყუთში 5-ჯერ მეტი ვაშლი აღმოჩნდა, ვიდრე კალათაში. რამდენი ვაშლი იყო კალათაში და რამდენი ყუთში?.

244. ორ ტომარაში 50-50 კგ შაქარია. მას შემდეგ, რაც ერთი ტომრიდან 3-ჯერ მეტი შაქარი აიღეს, ვიდრე მეორედან, მასში 2-ჯერ ნაკლები შაქარი დარჩა, ვიდრე მეორეში. რამდენი შაქარი დარჩა თითოეულ ტომარაში?.

245. თუ ქარხანა ყოველდღიურად გამოუშვებს 20 დეტალს, მაშინ დანიშნული ვადისთვის იგი გამოუშვებს გვეგმაზე 100

## მათემატიკური ამოცანები 40-ზე

დეტალით ნაკლებს. თუ ყოველდღიურად გამოუშვებს 23 დეტალს, მაშინ დანიშნული ვადისთვის იგი გამოუშვებს გვეგმაზე 20 დეტალით მეტს. რა ვადა იყო განსაზღვრული გვეგმის შესასრულებლად?

246. პირველ დღეს მგზავრმა გაიარა მთელი გზის 20%, მეორე დღეს დარჩენილის 25%. მთელი გზის რამდენი პროცენტი გაიარა მგზავრმა ორივე დღეს?

247.  $A$  ქალაქიდან  $B$  ქალაქში, რომელთა შორის მანძილი 120 კმ-ია, ერთდროულად ორი ავტომანქანა გაემართა. პირველი ავტომანქანა მოძრაობდა მუდმივი სიჩქარით. მეორე ავტომანქანა პირველი  $\frac{3}{4}$  საათის განმავლობაში მიდიოდა იმავე სიჩქარით, შემდეგ შეჩერდა 15 წთ, ხოლო ამის შემდეგ გააღიდა სიჩქარე 5 კმ/სთ-ით და  $B$ -ში პირველ ავტომანქანასთან ერთად ჩავიდა. იპოვეთ პირველი ავტომანქანის სიჩქარე.

248. ორი ავტომობილი გამოვიდა ერთმანეთის შესახვედრად  $A$  და  $B$  ქალაქებიდან. ერთი საათის შემდეგ ავტომობილები შეხვდნენ ერთმანეთს და შეუჩერებლად განაგრძეს გზა იმავე სიჩქარით. პირველი  $B$  ქალაქში 27 წთ-ით გვიან მივიდა, ვიდრე მეორე  $A$  ქალაქში. იპოვეთ თითოეული ავტომობი-

## მათემატიკური ამოცანები 40-ზე

ლის სიჩქარე, თუ ცნობილია, რომ მანძილი ქალაქებს შორის 90 კმ-ია.

249. ერთ კასრში იყო იმ წყლის  $\frac{2}{3}$  ნაწილი, რაც მეორეში. როცა მეორედან პირველში გადაასხეს 30 ლ წყალი, ორივეში წყლის რაოდენობა გათანაბრდა. რა რაოდენობის წყალი იყო თითოეულ კასრში თავდაპირველად?.

250. **A** და **B** პუნქტებს შორის მანძილი 60კმ-ია. **A**-დან და **B**-დან ერთდროულად ერთი და იმავე მიმართულებით გამოვიდა ორი ავტომანქანა. თუ **A**-დან გამოსული ავტომანქანის სიჩქარე 10 კმ/სთ-ით გადიდდება, ხოლო მეორის სიჩქარე- 8 კმ/სთ-ით, მაშინ პირველი მეორეს დაენევა იმავე ადგილას და თან ერთი საათით ადრე, სადაც იგი სიჩქარეების გაზრდამდე დაენეოდა. განსაზღვრეთ თითოეული ავტომობილის სიჩქარე.

251. დავითისა და გიორგის თანხები ისე შეეთარდება ერთმანეთს, როგორც 3:2, ხოლო დავითისა და ირმას თანხების შეთარდებაა 4:7. რა თანხა აქვს თითოეულ მათგანს, თუ სამივეს ერთად 205 ლარი აქვს?.

252. გვაქვს ლითონი ორი ნაჭერი - 1 კგ-იანი და 2 კგ-იანი. ამ ნაჭრებიდან გააკეთეს ორი სხვა ნაჭერი: 0,5 კგ-იანი, რომელშიც არის 40% სპილენძი და 2,5 კგ-იანი, რომელშიც არის

მათემატიკური ამოცანები 40-ზე

88% სპილენძი. რამდენი პროცენტი სპილენძია თავდაპირველ ნაჭრებში?.

253. მიმდევრობა მოცემულია  $x_n = 4n - 1$  ფორმულით. იპოვეთ იმ წევრის ნომერი, რომელიც 159-ს უდრის.

254. გამოთვალეთ  $\frac{A_{50}^{12} + A_{50}^{11}}{A_{50}^{40}}$ .

255. ურნაში 4 შავი და 5 თეთრი ბურთია. ურნიდან იღებენ ერთ ბურთს ნახულობენ მის ფერს და აბრუნებენ უკან. ამის შემდეგ იღებენ მეორე ბურთს. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ ამოღებული ბურთებიდან ერთი შავია, ერთი თეთრი.

256. გამოთვალეთ:  $\frac{1 - 2 \sin 40^\circ \sin 50^\circ}{\sin^2 5^\circ}$ .

257. ამოხსენით განტოლება დ ფესვები დაალაგეთ ზრდის მიხედვით

$$(2x^2 - x - 3)^2 + 6 = 5(2x^2 - x - 3)$$

258. **A** პუნქტიდან **B** პუნქტში, რომელთა შორის მანძილი 160-კმ-ია, გაემგზავრა ავტობუსი; ორი საათის შემდეგ მის კვალდაკვალ გავიდა მსუბუქი ავტომობილი, რომლის სიჩქარე ისე შეეფარდება ავტობუსის სიჩქარეს, როგორც 3:1. იპოვეთ ავტომობილისა და ავტობუსის სიჩქარე, თუ ავტომობილი **B** პუნქტში 40 წუთით ადრე ჩავიდა, ვიდრე ავტო-ბუსი.

## მათემატიკური ამოცანები 40-ზე

259. ერთ ცვლაში ორმა მუშამ ერთად დაამზადა 72 დეტალი. მას შემდეგ, რაც პირველმა მუშამ გაადიდა შრომის ნაყოფიერება 15%-ით, ხოლო მეორემ 25%-ით, ერთ ცვლაში მათ დაიწყეს ერთად 86 დეტალის დამზადება. რამდენ დეტალს ამზადებდა ცვლაში თითოეული მუშა თავდაპირველად?.

260. ორ ბიდონში არის 70 ლიტრი რძე, თუ პირველ ბიდონიდან მეორეში გადავასხამთ იმ რძის 12,5%, რომელიც პირველ ბიდონშია, მაშინ ორივე ბიდონში აღმოჩნდება რძის ერთი და იგივე რაოდენობა. რამდენი ლიტრი რძეა პირველ ბიდონში.

261. ჩქარი მატარებლის სიჩქარე 10 კმ/სთ-ით მეტია საფოსტოზე. ჩქარი მატარებელი 160 კმ-ის გავლაზე ხარჯავს 2 სთ-ით ნაკლებს, ვიდრე საფოსტო 180 კმ-ის გავლაზე. იპოვეთ თითოეულის სიჩქარე.

262. 150 კმ-ის გავლას ჩქარი მატარებელი სამგზავროზე 45 წთ-ით ნაკლებს დროს ანდომებს. იპოვეთ ორივე მატარებლის სიჩქარე, თუ ჩქარი მატარებელი სამგზავროზე 10 კმ-ით მეტს გადის საათში.

263. ორ ქალაქს შორის 480 კმ-ის ტოლ მანძილს სამგზავრო მატარებელი 4 საათით ჩქარა გადის ვიდრე საბარგო. თუ სამგზავრო მატარებლის სიჩქარეს საათში 8 კმ-ით გავადიდებთ, ხოლო საბარგო მატარებლის სიჩქარეს 2 კმ-ით, მაშინ

## მათემატიკური ამოცანები 40-ზე

სამგზავრო მატარებელი მთელი მანძილს 5 საათით ჩქარა გაივლის საბარგოზე. იპოვეთ მატარებლის სიჩქარე.

264. იპოვეთ მართკუთხა სამკუთხედის კათეტები, თუ ისინი ისე შეეფარდება ერთმანეთს, როგორც 20:21, ხოლო ამ სამკუთხედზე შემოხაზული და მასში ჩახაზული წრეწირების რადიუსების სხვაობა უდრის 17 სმ-ს.

265. პარალელოგრამის პერიმეტრი 120 სმ-ია, მახვილი კუთხე უდრის  $60^{\circ}$ -ს. პარალელოგრამის დიაგონალი ბლაგვ კუთხეს ყოფს შფარდებით 1:3. იპოვეთ პარალელოგრამის გვერდები.

266. მართკუთხა პარალელეპიპედის დიაგონალი 7 სმ-ია, ხოლო გვერდითი წახნაგების დიაგონალებია  $2\sqrt{6}$  სმ და  $\sqrt{33}$  სმ. იპოვეთ პარალელეპიპედის მოცულობა.

267. პირამიდას ფუძედ აქვს ტოლფერდა ტრაპეცია, რომლის ფუძეებია 3 სმ და 5 სმ, ხოლო ფუძეებს შორის მანძილი კი  $4\sqrt{3}$  სმ-ია. პირამიდის უდიდესი გვერდითი წიბოს სიგრძე 10 სმ-ია. იპოვეთ პირამიდის მოცულობის ნახევარი, თუ პირამიდის სიმაღლე გადის ფუძის დიაგონალების გადაკვეთის წერტილზე.

მათემატიკური ამოცანები 40-ზე

268. პირამიდას ფუძედ აქვს ტოლფერდა ტრაპეცია, რომლის ფუძეებია 10 სმ და 6 სმ. ყოველი გვერდითი წახნაგი ფუძესთან ქმნის  $\beta$ -ს ტოლ ორწახნაგა კუთხეს. იპოვეთ პირამიდის მოცულობა, თუ  $\operatorname{tg}\beta = 0,5$ .

269. პირამიდას ფუძედ აქვს ტოლფერდა ტრაპეცია, რომლის ფუძეებია 10 სმ და 6 სმ. პირამიდის ყოველი გვერდითი წახნაგი ფუძის სიბრტყისადმი ტოლი კუთხითა დახრილი. იპოვეთ პირამიდის მოცულობა, თუ პირამიდის მცირე გვერდითი წახნაგის ფართობია  $\frac{15\sqrt{3}}{2}$  სმ<sup>2</sup>.

270. პირამიდას ფუძედ აქვს ტოლფერდა ტრაპეცია, რომლის ფუძეებია 10 სმ და 6 სმ. პირამიდის ყოველი გვერდითი წახნაგი ფუძის სიბრტყისადმი ტოლი კუთხითა დახრილი. იპოვეთ პირამიდის მოცულობა, თუ პირამიდის უდიდესი გვერდითი წახნაგის ფართობია  $\frac{25\sqrt{3}}{2}$  სმ<sup>2</sup>.

271. იპოვეთ  $y = x^3 - 6x$  ფუნქციის უმცირესი და უდიდესი მნიშვნელობები  $[-3; 4]$  შუალედზე.

272. იპოვეთ  $x$  თუ  $\frac{1}{3} + \frac{1}{3} + \frac{1}{3} = \frac{x}{40}$ .

273. იპოვეთ  $10n$ , თუ  $n + n + n + n + n = n + 16$ .

მათემატიკური ამოცანები 40-ზე

274. თუ  $x = -2$  მაშინ რას უდრის  $2,5 \cdot (2x)^2$  გამოსახულების მნიშვნელობა.

275. გემის სიჩქარე დინების მიმართულებით არის 40 კმ/სთ, ხოლო საწინააღმდეგო მიმართულებით 36 კმ/სთ. იპოვეთ მდინარის დინების სიჩქარე.

276. ონკანი ავზს ავსებს  $h$  საათში. ავზის რა ნაწილს შეავსებს ის 40 საათში?.

277. გამოთვა;ლეთ: ა)  $-2^4 + (-4)^2 + (-2)^2 \cdot 10$ .

ბ)  $-2^4 + (-4)^3 + (-2)^3$ .

278. რისი ტოლია ყველა მთელი რიცხვის ჯამი -39 დან 40-მდე ჩათვლით.

279. იპოვეთ  $n(A)$ , თუ  $n(A \cup B) = 63$ ;  $n(B) = 27$  და  $n(A \cap B) = 14$ .

280. აკვარიუმს აქვს მართკუთხა პარალელეპიპედის ფორმ. მისი ფუძის განზომილებებია 20 სმ და 50 სმ. მასში ჩაასხეს 40 ლიტრი წყალი. რა უმცირესი სიმაღლე შეიძლება ქონდეს აკვარიუმს?.

## მათემატიკური ამოცანები 40-ზე

281. მეტალის ცილინდრისაგან, რომლის ფუძის დიამეტრი და სიმაღლე ერთმანეთის ტოლია და თითოეული უდრის  $40 \cdot \sqrt[3]{\frac{2}{3}}$  სმ, ჩამოასხეს ბირთვი. იპოვეთ ამ ბირთვის რადიუსი.

282. ორი წრეწირი გარედან ეხება ერთმანეთს. იპოვეთ მათი საერთო გარე მხების სიგრძე (მხების წერტილთა შორის მანძილი). თუ წრეწირის რადიუსებია 16 სმ და 25 სმ.

283. მეტალის ბირთვისაგან ჩამოასხეს კონუსი, რომლის სიმაღლე ორჯერ მეტია ფუძის რადიუსზე. იპოვეთ კონუსის სიმაღლე თუ ბირთვის რადიუსია  $10\sqrt[3]{4}$ .

284. მოცემული წრფისადმი ერთი წერტილიდან გავლებულია პერპენდიკულარი და ორი დახრილი. იპოვეთ პერპენდიკულარის სიგრძე, თუ დახრილები უდრის 41 სმ და 50 სმ, მათი გვერდები კი ისე შეფარდება ერთმანეთს როგორც 3:10.

285. ერთი წერტილიდან გამოსული მხები და მკვეთი შესაბამისად უდრის 20 სმ და 40 სმ. მკვეთი ცენტრიდან დაშორებულია 8 სმ-ით. იპოვეთ წრეწირის რადიუსი.

286. ორ ქალაქს შორის მანძილი 800კმ-ია, ხოლო რუკაზე ეს მანძილი 40 სმ-ია. იპოვეთ ამ რუკის მასშტაბი.

მათემატიკური ამოცანები 40-ზე

287. რუკაზე რომლის მასშტაბია 1:100000, ორ ქალაქს შორის მანძილი 40 სმ-ია. იპოვეთ ამ ქალაქებს შორის მანძილი სინამდვილეში.

288. იპოვეთ  $|-8\vec{a}|$ , თუ  $|\vec{a}| = 5$ .

289. თუ  $\vec{p} = (3; -\sqrt{3})$ ,  $\vec{q} = (0; 2\sqrt{3})$  იპოვეთ  $|\vec{p} - \vec{q}| + 4$ .

290. იპოვეთ ერთეულოვანი ვექტორი, რომლის თანამიმართული ვექტორია  $\vec{p} = \sqrt{15}\vec{i} - 5\vec{j}$ .

291. იპოვეთ  $\vec{p} = 40\vec{i}$  და  $\vec{q} = 3\vec{j}$  ვექტორებს შორის კუთხე.

292. იპოვეთ  $x$  და  $y$ , თუ ცნობილია, რომ  $\vec{a}(2x - y; 81)$  და  $\vec{b}(39; x + y)$  ვექტორები ტოლია.

293.  $\vec{a}(x; -5)$  და  $\vec{b}(-4; 3)$  ვექტორების სკალარული ნამრავლი უდრის 40-ს. იპოვეთ  $x$ .

294.  $\vec{a}(40; -5)$  და  $\vec{b}(4; y)$  ვექტორების სკალარული ნამრავლი უდრის 40-ს. იპოვეთ  $y$ .

295.  $\vec{a}(\sqrt{6}; -5; m)$  ვექტორის სიგრძეა 40, იპოვეთ  $m$ .

მათემატიკური ამოცანები 40-ზე

296. ხის მორი უნდა დაიხერხოს 9 ნაწილად. ერთ გადახერხვას უნდა 5 წუთი. რამდენი წუთია საჭირო ამ მორის მთლიანად დასახერხად?.

297. მოსწავლემ იყიდა სამი წიგნი. პირველ წიგნში გადაიხადა 3-ჯერ მეტი, ხოლო მესამეში 5-ჯერ მეტი, ვიდრე მეორე წიგნში. რა ღირს თითოეული წიგნი, თუ მესამე წიგნი 80 თეთრით მეტი ღირს, ვიდრე პირველი წიგნი?.

298.  $T = 5 * 6 + 8 * 2$  გამოსახულებაში ვარსკვლავების ნაცვლად შეიძლება მარტო შეკრების ან გამრავლების ნიშნის ჩასმა. შეიძლება თუ არა  $T$ -ს მნიშვნელობა იყოს ა) 40; ბ) 41.

299. გამოთვალეთ:  $\frac{1}{36 \cdot 37} + \frac{1}{37 \cdot 38} + \frac{1}{38 \cdot 39} + \frac{1}{39 \cdot 40}$ .

300. გამოიანგარიშეთ  $x:0,41(6)$ , თუ  $x$  არის შემდეგი განტოლების ფესვი:

$$\left(3\frac{3}{35} : \frac{2}{3}\right) : x = 7,2 : 1\frac{5}{9}$$

301. სექტორის ცენტრალური კუთხე  $40^{\circ}$ -ია, იპოვეთ სექტორის ფართობი თუ წრეწირის რადიუსი 6 დმ-ია.

302. მართკუთხედის ფორმის მიწის ნაკვეთის სიგრძე და სიგანე შესაბამისად არის 5000 მ და 2000 მ, ხოლო გვეგმაზე ამ

## მათემატიკური ამოცანები 40-ზე

ნაკვეთის სიგრძეა 10 სმ. რას უდრის ამ ნაკვეთის გეგმის ფართობი.

303. სიბრტყიდან 30 სმ-ის ტოლი მანძილით დაშორებული წერტილიდან გავლებულია 50 სმ-ს ტოლი დახრილი. იპოვეთ ამ დახრილის გეგმილის სიგრძე ამ სიბრტყეზე.

304. სამკუთხედის პერიმეტრია 40 სმ, მასში ჩახაზული წრის რადიუსი კი 5 სმ. იპოვეთ სამკუთხედის ფართობი.

305. ორი ტოლფერდა სამკუთხედის ფერდები ტოლია და უდრის 41 დმ-ს. იპოვეთ ფუძეები, თუ ისინი ისე შე-ეფარდება ერთმანეთს, როგორც 9:40, ხოლო წვეროსთან მდებარე კუთხეების ჯამი  $180^{\circ}$ -ია.

306. ტოლფერდა ტრაპეციის ფუძეებია  $a$  და  $b$ , ხოლო მისი მახვილი კუთხე  $\beta$ -ს ტოლია, იპოვეთ ტრაპეციის ფერდები თუ  $a = 70$ ,  $b = 60$  და  $\cos \beta = \frac{1}{8}$ .

307. წრეწირში, რომლის რადიუსია 25 სმ ჩახაზულია სამკუთხედი. ამ სამკუთხედის ორი გვერდი  $\alpha$  და  $\beta$  სიდიდის რკალეებს ჭიმავენ. იპოვეთ სამკუთხედის გვერდები, თუ  $\sin \frac{\alpha}{2} = \frac{3}{5}$ ;  $\sin \frac{\beta}{2} = \frac{7}{25}$ .

## თავი II. საატესტატო გამოცდის ტესტის ნიმუშები

1. რამდენ წერტილში გადაიკვეთებიან  $y = x^2$  და  $y = -1$  ფუნქციის გრაფიკები?.

- 1) არცერთში      2) ერთი      3) ორში      4) უამრავში

ამოხსნა: არცერთში, რადგან  $x^2 = -1$  განტოლებას ამონახსენი არა აქვს.

სავარჯიშო: ა) რამდენ წერტილში გადაიკვეთებიან  $y = x^2$  და  $y = x$  ფუნქციის გრაფიკები?.

ბ) რამდენ წერტილში გადაიკვეთებიან  $y = 2x - 1$  და  $y = 3x + 2$  ფუნქციის გრაფიკები?.

გ) რამდენ წერტილში გადაიკვეთებიან  $y = 4x$  და  $y = x^2$  ფუნქციის გრაფიკები?.

დ) რამდენ წერტილში გადაიკვეთებიან  $y = -1$  და  $y = x^2$  ფუნქციის გრაფიკები?.

2. ტექნიკურმა განახლებამ სანარმოს დღე-ღამეში 1600-ის ნაცვლად 1800 ჭიქის გამოშვების საშუალება მისცა. რამდენი პროცენტით გაიზარდა დღეღამეში ჭიქის გამოშვება?.

- 1) 10,5%      2) 25%      3) 12,5%      4) 24%

## მათემატიკური ამოცანები 40-ზე

**ამოხსნა:** 12,5%, რადგან დღელამეში ჭიქების გამოშვება გაიზარდა 1800-1600=200-ით რაც შეადგენს 1600-ის 12,5%-ს. მართლაც, 1600-ის  $x\%$  = 200;  $1600 \cdot \frac{x}{100} = 200$ ;  
 $x = \frac{200}{16} = 12,5$ .

**სავარჯიშო:** ა) ტექნიკურმა განახლებამ საწარმოს დღელამეში 1500-ის ნაცვლად 1600 ჭიქის გამოშვების საშუალება მისცა. რამდენი პროცენტით გაიზარდა დღელამეში ჭიქის გამოშვება?.

ბ) ტექნიკურმა განახლებამ საწარმოს დღელამეში 1200-ის ნაცვლად 1350 ჭიქის გამოშვების საშუალება მისცა. რამდენი პროცენტით გაიზარდა დღელამეში ჭიქის გამოშვება?.

გ) ტექნიკურმა განახლებამ საწარმოს დღელამეში 1100-ის ნაცვლად 1550 ჭიქის გამოშვების საშუალება მისცა. რამდენი პროცენტით გაიზარდა დღელამეში ჭიქის გამოშვება?.

3. რისი ტოლია  $\frac{x+|x|}{2x}$  გამოსახულების მნიშვნელობა, თუ  $x < 0$ .

1) 0

2) 1

3)  $2x$

4)  $1/2x$

**ამოხსნა:** 0, რადგან თუ  $x < 0$ , მაშინ  $|x| = -x$  და  $\frac{x-x}{2x} = \frac{0}{2x} = 0$ .

## მათემატიკური ამოცანები 40-ზე

სავარჯიშო: ა) რისი ტოლია  $\frac{3x+|x|}{2x}$  გამოსახულების მნიშვნელობა, თუ  $x < 0$ .

ბ) რისი ტოლია  $\frac{x+|x|}{2x}$  გამოსახულების მნიშვნელობა, თუ  $x > 0$ .

გ) რისი ტოლია  $\frac{3x-\sqrt{x^2}}{5x}$  გამოსახულების მნიშვნელობა, თუ  $x < 0$ .

დ) რისი ტოლია  $\frac{x-\sqrt{x^2}}{2x}$  გამოსახულების მნიშვნელობა, თუ  $x < 0$ .

ე) რისი ტოლია  $\frac{x-\sqrt{x^2}}{2x}$  გამოსახულების მნიშვნელობა, თუ  $x > 0$ .

4. რამდენი მარტივი რიცხვია (2;13) შუალედში?.

- 1) ოთხი      2) ხუთი      3) ექვსი      4) შვიდი

ამოხსნა: ოთხი, ესენია 3; 5; 7; 11. 2-იანი და 13-იან აღნიშნულია შუალედს არ ეკუთვნის.

სავარჯიშო: ა) რამდენი მარტივი რიცხვია [2;18[ შუალედში?.

მათემატიკური ამოცანები 40-ზე

ბ) რამდენი მარტივი რიცხვია  $[2; 19]$  შუალედში?.

გ) რამდენი მარტივი რიცხვია  $(4; 24)$  შუალედში?.

5. იპოვეთ წრეწირის დიამეტრი, თუ იგი 5 მეტრით მეტია რადიუსზე.

1) 10 მ

2) 15 მ

3) 20 მ

4) 25 მ

**ამოხსნა:** 10 მ, რადგან დიამეტრი  $d = 2R$  და ამოცანის პირობის თანახმად  $2R = R + 5$  საიდანაც  $R = 5$ . ე.ი.  $d = 2 \cdot 5 = 10$ .

**სავარჯიშო:** ა) იპოვეთ წრეწირის დიამეტრი, თუ იგი 3 მეტრით მეტია რადიუსზე.

ბ) იპოვეთ წრეწირის დიამეტრი, თუ იგი 0,5 მეტრით მეტია რადიუსზე.

გ) იპოვეთ წრეწირის დიამეტრი, თუ იგი 1,7 მეტრით მეტია რადიუსზე.

დ) იპოვეთ წრეწირის დიამეტრი, თუ იგი 7 მეტრით მეტია რადიუსზე.

მათემატიკური ამოცანები 40-ზე

6. ამოხსენით განტოლება:  $7 \cdot 2^x - 2 = 6 \cdot 2^x$ .

- 1) 1            2)  $\frac{1}{2}$             3) 2            4) 4

ამოხსნა: 1, რადგან  $7 \cdot 2^1 - 2 = 6 \cdot 2^1$  ჭეშმარიტია, მართლაც  $14 - 2 = 12$ ;

ან მეორენაირად,  $7 \cdot 2^x - 2 = 6 \cdot 2^x \Rightarrow 7 \cdot 2^x - 6 \cdot 2^x = 2 \Rightarrow 2^x = 2 \Rightarrow x = 1$ .

საფარჯიშო: ა) ამოხსენით განტოლება:  $7 \cdot 3^x - 3 = 6 \cdot 3^x$ .

ბ) ამოხსენით განტოლება:  $2 \cdot 5^x - 25 = 5^x$ .

გ) ამოხსენით განტოლება:  $8 \cdot 7^x - 14 = 6 \cdot 7^x$ .

7. საკოორდინატო სიბრტყეზე მოცემულია  $A(-3; 2)$  და  $B(4; 1)$  წერტილები. იპოვეთ  $AB$  მონაკვეთის სიგრძე.

- 1) 7            2)  $\sqrt{50}$             3)  $\sqrt{2}$             4) 5

ამოხსნა:  $\sqrt{50}$ , რადგან ორ წერტილს შორის მანძილის გამოსათვლელი ფორმულას აქვს შემდეგი სახე

მათემატიკური ამოცანები 40-ზე

$$d = \sqrt{(x_2 - x_1)^2 + (y_2 - y_1)^2}$$

ამიტომ,  $\sqrt{(4 - (-3))^2 + (1 - 2)^2} = \sqrt{50}$ .

**სავარჯიშო:**

ა) საკოორდინატო სიბრტყეზე მოცემულია  $A(-3; 8)$  და  $B(5; 2)$  წერტილები. იპოვეთ  $AB$  მონაკვეთის სიგრძე.

ბ) საკოორდინატო სიბრტყეზე მოცემულია  $A(1; -2)$  და  $B(2; -1)$  წერტილები. იპოვეთ  $AB$  მონაკვეთის სიგრძე.

გ) საკოორდინატო სიბრტყეზე მოცემულია  $A(3; -3)$  და  $B(2; -2)$  წერტილები. იპოვეთ  $AB$  მონაკვეთის სიგრძე.

8. გამოთვალეთ:  $\left(\frac{1}{2}\right)^5$ .

1)  $\frac{1}{10}$

2)  $\frac{1}{32}$

3)  $\frac{5}{10}$

4)  $\frac{1}{16}$

ამოხსნა:  $\frac{1}{32}$ , რადგან  $\left(\frac{1}{2}\right)^5 = \frac{1}{2} \cdot \frac{1}{2} \cdot \frac{1}{2} \cdot \frac{1}{2} \cdot \frac{1}{2} = \frac{1}{32}$

ა6

$$\left(\frac{1}{2}\right)^5 = \frac{1^5}{2^5} = \frac{1}{32}.$$

მათემატიკური ამოცანები 40-ზე

სავარჯიშო: ა)  $\left(-2\frac{1}{2}\right)^2$ ; ბ)  $(-3)^3$ ; გ)  $\left(\frac{1}{3}\right)^{-3}$ ; დ)  $\left(\frac{1}{2}\right)^3$ ; ე)  $\left(1\frac{2}{3}\right)^2$ ;  
ვ)  $(0,1)^2$ ; ზ)  $(-2)^2$ ; თ)  $(0,01)^2$ ; ი)  $\left(\frac{1}{2}\right)^{-2}$ ; კ)  $\left(\frac{1}{3}\right)^4$ ; ლ)  $\left(\frac{2}{3}\right)^5$ ;  
მ)  $(-7)^2$ ;

9. ნებისმიერი  $x$  და  $y$  კუთხეებისთვის  $\cos(x - y)$

- 1)  $\sin x \cdot \cos y - \cos x \cdot \sin y$
- 2)  $\sin x \cdot \sin y - \cos x \cdot \cos y$
- 3)  $\sin x \cdot \cos y + \cos x \cdot \sin y$
- 4)  $\cos x \cdot \cos y + \sin x \cdot \sin y$

ამოხსნა: ფორმულაა  $\cos(x - y) = \cos x \cdot \cos y - \sin x \cdot \sin y$ .

სავარჯიშო: ა)  $\sin(x - y)$ ; ბ)  $\cos(x + y)$ ; გ)  $\sin(x + y)$ ; დ)  $\operatorname{tg}(x + y)$ ; ე)  $\operatorname{tg}(x - y)$ .

10. მართკუთხა სამკუთხედზე შემოხაზულია წრეწირი. იპოვეთ შესაბამისი წრის ფართობი, თუ სამკუთხედის კათეტებია 4 სმ და 8 სმ.

- 1)  $16\pi$  სმ<sup>2</sup>
- 2)  $25\pi$  სმ<sup>2</sup>
- 3)  $20\pi$  სმ<sup>2</sup>
- 4)  $12\pi$  სმ<sup>2</sup>

## მათემატიკური ამოცანები 40-ზე

**ამოხსნა:**  $20\pi$  სმ<sup>2</sup>, რადგან მართკუთხა სამკუთხედზე შემოხაზული წრეწირის რადიუსი ჰიპოტენუზის ნახევარია. პითაგორას თეორემის თანახმად ჰიპოტენუზა ტოლია  $\sqrt{4^2 + 8^2} = \sqrt{80} = 4\sqrt{5}$ -ის. მაშინ შესაბამისი წრის ფართობი იქნება  $S = \pi r^2 = \pi(2\sqrt{5})^2 = 20\pi$ .

**სფარჯიშო:** ა) მართკუთხა სამკუთხედზე შემოხაზულია წრეწირი. იპოვეთ შესაბამისი წრის ფართობი, თუ სამკუთხედის კათეტებია 6 სმ და 8 სმ.

ბ) მართკუთხა სამკუთხედზე შემოხაზულია წრეწირი. იპოვეთ შესაბამისი წრის ფართობი, თუ სამკუთხედის კათეტებია 3 სმ და  $\sqrt{15}$  სმ.

გ) მართკუთხა სამკუთხედზე შემოხაზულია წრეწირი. იპოვეთ შესაბამისი წრის ფართობი, თუ სამკუთხედის კათეტებია  $3\sqrt{2}$  სმ და  $\sqrt{22}$  სმ.

11. გამოთვალეთ:  $\log_2 16$

1) 1

2) 4

3) 8


4) 1/8

**ამოხსნა:** 4, რადგან  $\log_2 16 = \log_2 2^4 = 4 \log_2 2 = 4 \cdot 1 = 4$ .

მათემატიკური ამოცანები 40-ზე

სავარჯიშო: ა)  $\log_2 27$ ; ბ)  $\log_2 32$ ; გ)  $\log_5 25$ ; დ)  $\log_7 49$ ; ე)  $\log_{\frac{1}{3}} 9$ ; ვ)  $\log_2 \frac{1}{4}$ .

12. სამკუთხედ  $ABC$  – ში გავლებულია  $AC$  გვერდის პარალელური  $MN$  მონაკვეთი. მაშინ




- 1)  $BM:MA = MN:AC$
- 2)  $MB:BA = MN:AC$
- 3)  $BM:BA = BN:NC$
- 4)  $BN:NC = MA:AB$

ამოხსნა:  $MB:BA = MN:AC$ , რადგან სამკუთხედი  $\triangle MNB$  მსგავსია სამკუთხედი  $\triangle ABC$ -სი, შესაბამისი გვერდების შეფარდება ერთმანეთის ტოლია.

სავარჯიშო: სამკუთხედ  $ABC$  – ში გავლებულია  $AC$  გვერდის პარალელური  $MN$  მონაკვეთი. მაშინ

მათემატიკური ამოცანები 40-ზე



ა)

- 1)  $BN:BC = MN:AC$
- 2)  $MB:BA = MN:AM$
- 3)  $BM:BA = BN:NC$
- 4)  $BN:NC = MA:AB$

ბ)

- 1)  $BN:BC = MN:AC$
- 2)  $MB:BA = MN:AM$
- 3)  $MN:AC = BN:BC$
- 4)  $BN:NC = MA:AB$

13. დაშალეთ მამრავლებად:  $8m^3n^2 - 12mn$ .

- |                     |                       |
|---------------------|-----------------------|
| 1) $4mn(2 - 3n)$    | 3) $12m^3n^2(2 - 3n)$ |
| 2) $m^3n^2(8 - 3n)$ | 4) $4mn(2m^2n - 3)$   |

## მათემატიკური ამოცანები 40-ზე

ამოხსნა:  $4mn(2m^2n - 3)$ ; რადგან, თუ ფრჩხილებს გარეთ ვავიტანთ საერთო  $4mn$  მამრავლს, გვექნება

$$8m^3n^2 - 12mn = 4mn(2m^2n - 3).$$

საფარჯიშო: ა)  $7x^2y^3 - 14xy^2$ ; ბ)  $9x^4y^4 - 12x^2y^3$ ;

გ)  $3a^3b^3 - 15ab$ ; დ)  $2at^2 + 10a^2t$ .

14. კუბის მოცულობა  $27 \text{ სმ}^3$  – ის ტოლია, იპოვეთ მისი ზედაპირის ფართობი.

1)  $54 \text{ სმ}^2$

2)  $81 \text{ სმ}^2$

3)  $36 \text{ სმ}^2$

4)  $48 \text{ სმ}^2$

ამოხსნა:  $54 \text{ სმ}^2$ , რადგან კუბის მოცულობაა  $27 \text{ სმ}^3$ -ია, ამიტომ მისი წიბო იქნება  $\sqrt[3]{27} = 3$ , ხოლო ზედაპირის ფართობი გამოითვლება  $S_{\text{ზედ}} = 6 \cdot a^2$  ფორმულით, სადაც  $a$ -კუბის წიბოა. ე. ი.  $S_{\text{ზედ}} = 6 \cdot a^2 = 6 \cdot 3^2 = 6 \cdot 9 = 54$ .

საფარჯიშო:

ა) კუბის მოცულობა  $8 \text{ სმ}^3$  – ის ტოლია, იპოვეთ მისი ზედაპირის ფართობი.

ბ) კუბის მოცულობა  $64 \text{ სმ}^3$  – ის ტოლია, იპოვეთ მისი ზედაპირის ფართობი.

მათემატიკური ამოცანები 40-ზე

გ) კუბის მოცულობა  $125 \text{ სმ}^3$  – ის ტოლია, იპოვეთ მისი ზედაპირის ფართობი.

დ) კუბის მოცულობა  $216 \text{ სმ}^3$  – ის ტოლია, იპოვეთ მისი ზედაპირის ფართობი.

15. წრეწირის  $60^\circ$ -იანი რკალის სიგრძეა  $2\pi$ . იპოვეთ ამ წრეწირის სიგრძე.

- 1)  $4\pi$       2)  $10\pi$       3)  $12\pi$       4)  $16\pi$

ამოხსნა:  $12\pi$ , რადგან  $60^\circ - 2\pi$

$360^\circ - x$  პროპორციიდან

$60 \cdot x = 2\pi \cdot 360$  აქედან კი  $x = 12\pi$ .

საფარჯიშო: ა) წრეწირის  $30^\circ$ -იანი რკალის სიგრძეა  $2\pi$ . იპოვეთ ამ წრეწირის სიგრძე.

ბ) წრეწირის  $45^\circ$ -იანი რკალის სიგრძეა  $\pi$ . იპოვეთ ამ წრეწირის სიგრძე.

გ) წრეწირის  $60^\circ$ -იანი რკალის სიგრძეა  $\pi/2$ . იპოვეთ ამ წრეწირის სიგრძე.

## მათემატიკური ამოცანები 40-ზე

16. მართკუთხა სამკუთხედის ჰიპოტენუზაზე დაშვებული სიმაღლე 3 სმ–ია, ხოლო ამ სამკუთხედზე შემოხაზული წრეწირის რადიუსია 5 სმ. იპოვეთ ამ სამკუთხედის ფარ-თობი.

1) 15 სმ<sup>2</sup>

2) 7,5 სმ<sup>2</sup>

3) 12 სმ<sup>2</sup>

4) 6 სმ<sup>2</sup>

**ამოხსნა:** 15 სმ<sup>2</sup>, რადგან მართკუთხა სამკუთხედზე შემოხაზული წრეწირის დიამეტრი ამ მართკუთხა სამკუთხედის ჰიპოტენუზაა და სამკუთხედის ფართობი - ერთი გვერდისა და მასზე დაშვებული სიმაღლის ნამრავლის ნახევრის ტოლია, გვაქვს

$$S = \frac{1}{2} \cdot c \cdot h_c = \frac{1}{2} \cdot 10 \cdot 3 = 15$$

### საფარჯიშო:


ა) მართკუთხა სამკუთხედის ჰიპოტენუზაზე დაშვებული სიმაღლე 2 სმ–ია, ხოლო ამ სამკუთხედზე შემოხაზული წრეწირის რადიუსია 5 სმ. იპოვეთ ამ სამკუთხედის ფართობი.

ბ) მართკუთხა სამკუთხედის ჰიპოტენუზაზე დაშვებული სიმაღლე 8 სმ–ია, ხოლო ამ სამკუთხედზე შემოხაზული წრეწირის რადიუსია 17,5 სმ. იპოვეთ ამ სამკუთხედის ფართობი.

მათემატიკური ამოცანები 40-ზე

გ) მართკუთხა სამკუთხედის ჰიპოტენუზაზე დაშვებული სიმაღლე 9 სმ-ია, ხოლო ამ სამკუთხედზე შემოხაზული წრეწირის რადიუსია 10,5 სმ. იპოვეთ ამ სამკუთხედის ფართობი.

17. კვადრატის გვერდი 6სმ-ია. რამდენით მეტია კვადრატის ფართობი მასში ჩახაზული წრის ფართობზე?.



1)  $36 - 6\pi$  სმ<sup>2</sup>-ით

2)  $6 - 9\pi$  სმ<sup>2</sup>-ით

3)  $6 - 3\pi$  სმ<sup>2</sup>-ით

4)  $36 - 9\pi$  სმ<sup>2</sup>-ით

ამოხსნა:  $36 - 9\pi$  სმ<sup>2</sup>-ით, რადგან ცხადია, რომ კვადრატის ფართობი  $36$  სმ<sup>2</sup>, ხოლო მასში ჩახაზული წრის ფართობი კი -  $9\pi$ . (წრის ფართობი გამოითვლება  $S = \pi R^2$ ).


სავარჯიშო: ა) კვადრატის გვერდი 8 სმ-ია. რამდენით მეტია კვადრატის ფართობი მასში ჩახაზული წრის ფართობზე?.

მათემატიკური ამოცანები 40-ზე

ბ) კვადრატის გვერდი 10 სმ-ია. რამდენით მეტია კვადრატის ფართობი მასში ჩახაზული წრის ფართობზე?.

გ) კვადრატის გვერდი  $2\sqrt{7}$  სმ-ია. რამდენით მეტია კვადრატის ფართობი მასში ჩახაზული წრის ფართობზე?.

18. ქვემოთ ჩამოთვლილი ფუნქციებიდან რომლის გრაფიკია გამოსახული სურათზე?





- 1)  $y = \frac{2}{3}x + 2$     2)  $y = 3x - 2$     3)  $y = 2 - \frac{2}{3}x$     4)  $y = 2 - 3x$

ამოხსნა:  $y = 2 - \frac{2}{3}x$ , რადგან - როგორც ნახაზიდან ჩანს წრფე გადის (0; 2) და (3; 0) წერტილებზე, ამ წერტილის კოორდინატები კი აკმაყოფილებენ  $y = 2 - \frac{2}{3}x$  წრფის

მათემატიკური ამოცანები 40-ზე

განტოლებას. მართლაც,  $2 = 2 - \frac{2}{3} \cdot 0$  და  $0 = 2 - \frac{2}{3} \cdot 3$   
ტოლობები ჭეშმა-რითია.

**საფარჯიშო:** ქვემოთ ჩამოთვლილი ფუნქციებიდან რომლის გრაფიკია გამოსახული სურათზე?



1)  $y = \frac{2}{3}x + 2$

2)  $y = 3x - 2$

3)  $y = 2 - \frac{2}{3}x$

4)  $y = 2 - 3x$

მათემატიკური ამოცანები 40-ზე

19. რისი ტოლია  $|a-3|+|a+2|$ , თუ  $a \in [-1;1]$  ?.

- 1) 5                      2) -1                      3)  $a-1$                       4)  $a+5$

**ამოხსნა:** 5, რადგან  $a \in [-1;1]$  შუალედიდან აღებული ნებისმიერი რიცხვისათვის,  $|a-3|$ - გამოსახულების მნიშვნელობა უარყოფითია, უარყოფითი რიცხვის მოდული კი მისი მოპირდაპირე რიცხვის ტოლია ე. ი.  $|a-3|=-(a-3)$ , ხოლო  $|a+2|$  - გამოსახულების მნიშვნელობა დადებითია, დადებითი რიცხვის მოდული კი თვით ამ რიცხვის ტოლია ე. ი.  $|a+2|=a+2$ . მაშასადამე,  $|a-3|+|a+2|=-(a-3)+a+2=3+2=5$ .

**სავარჯიშო:** ა) რისი ტოლია  $|a-5|+|a+1|$ , თუ  $a \in [-1;1]$  ?.

ბ) რისი ტოლია  $|2x-5|+|2x+1|$ , თუ  $x \in \left[-\frac{1}{2}; \frac{1}{2}\right]$  ?.

გ) რისი ტოლია  $|b+3|-|b-2|$ , თუ  $b \in [-2;2]$  ?.

20. იპოვეთ  $a$ , თუ  $3x^2-5x-2=(x-2)(1+ax)$  გამოსახულება იგივეობაა  $x$  ცვლადის მიმართ.

- 1)  $a=5$                       2)  $a=3$                       3)  $a=2,5$                       4)  $a=2$

**ამოხსნა:**  $a=3$ , რადგან

## მათემატიკური ამოცანები 40-ზე

$3x^2 - 5x - 2 = (x - 2)(1 + ax) = x + ax^2 - 2 - 2ax = ax^2 - x(2a - 1) - 2$  საიდანაც თვალნათლივ ჩანს, რომ  $a = 3$ .  
ორი მრავალწევრი ტოლია თუ მათი შესაბამისი კოეფიციენტები ტოლია, ამ შემთხვევაში  $x^2$ -ის კოეფიციენტების ტოლობა საკმარისია.

**სავარჯიშო:** ა) იპოვეთ  $a$ , თუ  $5x^2 - 6x + 1 = (x - 1)(-1 + ax)$  გამოსახულება იგივეობაა  $x$  ცვლადის მიმართ.

ბ) იპოვეთ  $a$ , თუ  $5x^2 - 6x + 1 = (x - 1)(-1 + ax)$  გამოსახულება იგივეობაა  $x$  ცვლადის მიმართ.

21. 60 – ის მარტივი გამყოფებია.

- 1) 2 და 6    2) 1, 2 და 5    3) 3, 2 და 10    4) 2, 3 და 5

**ამოხსნა:** 2, 3 და 5, მარტივი ეწოდება ნატურალურ რიცხვს, თუ მას ორი გამყოფი გააჩნია (ერთიანი და თავისი თავი). ასეთები მხოლოდ 2, 3 და 5-ია.

**სავარჯიშო:** ა) იპოვეთ 24 – ის მარტივი გამყოფები.

ბ) იპოვეთ 36 – ის მარტივი გამყოფები.

გ) იპოვეთ 48 – ის მარტივი გამყოფები.

დ) იპოვეთ 54 – ის მარტივი გამყოფები.

## მათემატიკური ამოცანები 40-ზე

ე) იპოვეთ 63 – ის მარტივი გამყოფები.

**სავარჯიშო:** ასევე იპოვეთ ზემოთ მოცემული რიცხვების ყველა გამყოფთა ჯამი.

22. გეომეტრიული პროგრესიის პირველი წევრია 4, ხოლო მნიშვნელი 0,5. იპოვეთ ამ პროგრესიის მეოთხე წევრი.

1) 2

2) 1

3) 0,25

4) 0,5

**ამოხსნა:** 0,5, რადგან გეომეტრიული პროგრესიის ზოგადი წევრის ფორმულას აქვს შემდეგი სახე  $b_n = b_1 \cdot q^{n-1}$  სადაც  $b_1$  - არის გეომეტრიული პროგრესიის პირველი წევრი, ხოლო  $q$  - გეომეტრიული პროგრესიის მნიშვნელი, ამიტომ გვექნება

$$b_4 = 4 \cdot 0,5^{4-1} = 4 \cdot 0,5^3 = 4 \cdot 0,125 = 0,5 .$$

**სავარჯიშო:** ა) გეომეტრიული პროგრესიის პირველი წევრია 5, ხოლო მნიშვნელი 3. იპოვეთ ამ პროგრესიის მესამე წევრი.

ბ) გეომეტრიული პროგრესიის პირველი წევრია 20, ხოლო მნიშვნელი 0,5. იპოვეთ ამ პროგრესიის მეოთხე წევრი.

მათემატიკური ამოცანები 40-ზე

გ) გეომეტრიული პროგრესიის პირველი წევრია 7, ხოლო მნიშვნელი  $\frac{1}{3}$ . იპოვეთ ამ პროგრესიის მეხუთე წევრი.

23. გაამარტივეთ:  $3\sqrt{45} + 14\sqrt{20} - 2\sqrt{500}$ .

1)  $3\sqrt{5}$

2)  $17\sqrt{5}$

3)  $57\sqrt{5}$

4)  $7\sqrt{5}$

ამოხსნა:  $17\sqrt{5}$ , რადგან

$$3\sqrt{45} + 14\sqrt{20} - 2\sqrt{500} = 3\sqrt{9 \cdot 5} + 14\sqrt{4 \cdot 5} - 2\sqrt{5 \cdot 100}$$

საიდანაც გვექნება

$$3\sqrt{9 \cdot 5} + 7\sqrt{4 \cdot 5} - 2\sqrt{5 \cdot 100} = 9\sqrt{5} + 28\sqrt{5} - 20\sqrt{5} = 17\sqrt{5}.$$

საგარჯობო: ა) გაამარტივეთ:  $5\sqrt{45} + 7\sqrt{20} - 4\sqrt{500}$ .

ბ) გაამარტივეთ:  $8\sqrt{27} + 4\sqrt{48} - 5\sqrt{12}$ .

გ) გაამარტივეთ:  $9\sqrt{40} - \sqrt{1000}$ .

24. ტრაპეციის მცირე ფუძე 7 სმ-ია, ხოლო დიდი ფუძე 3 - ჯერ მეტია მცირეზე. იპოვეთ ტრაპეციის შუახაზი.

1) 7 სმ

2) 14 სმ

3) 21 სმ

4) 28 სმ

## მათემატიკური ამოცანები 40-ზე

**ამოხსნა:** 14 სმ, რადგან ტრაპეციის შუახაზი ფუძეების ნახევარჯამის ტოლია. მართლაც, ერთი ფუძე არის 7 სმ, მეორე იქნება 21 სმ ( $7 \cdot 3 = 21$ ), ხოლო შუახაზი  $\frac{7+21}{2} = 14$ .

**სავარჯიშო:** ა) ტრაპეციის მცირე ფუძე 8 სმ-ია, ხოლო დიდი ფუძე 3 - ჯერ მეტია მცირეზე. იპოვეთ ტრაპეციის შუახაზი.

ბ) ტრაპეციის მცირე ფუძე 5 სმ-ია, ხოლო დიდი ფუძე 7 - ჯერ მეტია მცირეზე. იპოვეთ ტრაპეციის შუახაზი.

გ) ტრაპეციის დიდი ფუძე 40 სმ-ია, ხოლო მცირე ფუძე 5 - ჯერ ნაკლებია დიდ ფუძეზე. იპოვეთ ტრაპეციის შუახაზი.

25. მოსაზღვრე კუთხეებიდან ერთ-ერთი 5-ჯერ მეტია მეორეზე. რას უდრის ამ კუთხეებიდან უდიდესი?

1)  $125^\circ$

2)  $155^\circ$

3)  $150^\circ$

4)  $160^\circ$

**ამოხსნა:**  $150^\circ$ , რადგან მოსაზღვრე კუთხეების ჯამი  $180^\circ$  -ის ტოლია. მართლაც, თუ ერთერთ კუთხეს (პატარა) კუთხეს აღვნიშნავთ  $x$ -ით, მაშინ მეორე კუთხე (დიდი) იქნება  $5x$ . მაშასადამე,  $x + 5x = 180^\circ$  საიდანაც  $x = 30^\circ$ , საძიებელი დიდი კუთხე კი იქნება  $30^\circ \cdot 5 = 150^\circ$ .

მათემატიკური ამოცანები 40-ზე

**სავარჯიშო:** ა) მოსაზღვრე კუთხეებიდან ერთ-ერთი 3-ჯერ მეტია მეორეზე. რას უდრის ამ კუთხეებიდან უდიდესი?.

ბ) მოსაზღვრე კუთხეებიდან ერთ-ერთი 4-ჯერ მეტია მეორეზე. რას უდრის ამ კუთხეებიდან უდიდესი?.

გ) მოსაზღვრე კუთხეებიდან ერთ-ერთი 8-ჯერ მეტია მეორეზე. რას უდრის ამ კუთხეებიდან უდიდესი?.

26. იპოვეთ რიცხვი, რომლის  $\frac{4}{9}$  ნაწილი არის 12.

1) 9

2) 18

3) 19

4) 27

**ამოხსნა:** 27, რადგან  $x$ -ის  $\frac{4}{9}$  ნაწილი უდრის 12-ს, ამიტომ  $x \cdot \frac{4}{9} = 12$  საიდანაც  $x = 12 : \frac{4}{9}$  ე. ი.  $x = 12 \cdot \frac{9}{4} = 27$ .

**სავარჯიშო:** ა) იპოვეთ რიცხვი, რომლის  $\frac{8}{7}$  ნაწილი არის 21.


ბ) იპოვეთ რიცხვი, რომლის  $\frac{4}{5}$  ნაწილი არის 16.

გ) იპოვეთ რიცხვი, რომლის  $\frac{5}{9}$  ნაწილი არის 25.

27.  $A$ ,  $B$  და  $K$  წერტილები შესაბამისად პირველი, მეორე და მესამე წრის ცენტრებია. პირველი წრის ფართობია  $16\pi$ ;

მათემატიკური ამოცანები 40-ზე

მეორე წრის -  $9\pi$ , მესამე წრის -  $4\pi$ , მაშინ  $ABK$  სამკუთხედის პერიმეტრია.



1) 18

2) 20

3) 29

4) 16

**ამოხსნა:** 18, რადგან წრის ფართობი გამოითვლება  $S = \pi R^2$  ფორმულით, ამიტომ პირველი წრის რადიუსი იქნება 4, მეორის - 3 და მესამის კი 2. (მართლაც,  $\pi R^2 = 16\pi$ ;  $\Rightarrow R = 4$  და ა.შ.).  $ABK$  სამკუთხედის პერიმეტრი ტოლი იქნება

$$P_{\triangle ABK} = 4 + 4 + 3 + 3 + 2 + 2 = 18.$$

**სავარჯიშო:** ა)  $A$ ,  $B$  და  $K$  წერტილები შესაბამისად პირველი, მეორე და მესამე წრის ცენტრებია. პირველი წრის ფართობია  $25\pi$ ; მეორე წრის -  $16\pi$ , მესამე წრის -  $9\pi$ , მაშინ  $ABK$  სამკუთხედის პერიმეტრია.

მათემატიკური ამოცანები 40-ზე

ბ)  $A$ ,  $B$  და  $K$  წერტილები შესაბამისად პირველი, მეორე და მესამე წრის ცენტრებია. პირველი წრის ფართობია  $36\pi$ ; მეორე წრის -  $25\pi$ , მესამე წრის -  $16\pi$ , მაშინ  $ABK$  სამკუთხედის პერიმეტრია.

გ)  $A$ ,  $B$  და  $K$  წერტილები შესაბამისად პირველი, მეორე და მესამე წრის ცენტრებია. პირველი წრის ფართობია  $49\pi$ ; მეორე წრის -  $25\pi$ , მესამე წრის -  $16\pi$ , მაშინ  $ABK$  სამკუთხედის პერიმეტრია.

28.  $\angle ABC = 80^\circ$  და  $BD$  ამ კუთხის ბისექტრისაა, მაშინ  $\angle ABD =$


1)  $50^\circ$

2)  $60^\circ$

3)  $30^\circ$

4)  $40^\circ$

**ამოხსნა:**  $40^\circ$ , რადგან კუთხის ბისექტრისა ამ კუთხეს ყოფს ორ კუთხედ, რომელთა გრადუსული ზომები ტოლია, ამიტომ  $\angle ABD = 40^\circ$ . იხილეთ ნახაზი.




მათემატიკური ამოცანები 40-ზე

საფარჯიშო: ა)  $\angle ABC = 90^\circ$  და  $BD$  ამ კუთხის ბისექტრისაა, მაშინ  $\angle ABD = ?$ .

ბ)  $\angle ABC = 120^\circ$  და  $BD$  ამ კუთხის ბისექტრისაა, მაშინ  $\angle ABD = ?$ .

გ)  $\angle ABC = 140^\circ$  და  $BD$  ამ კუთხის ბისექტრისაა, მაშინ  $\angle ABD = ?$ .

29. მოცემულია მართკუთხედი, რომლის ფართობია 12. იპოვეთ გამუქებული ფიგურის ფართობი.



1) 7

2) 8

3) 9

4) 10


ამოხსნა: 9, რადგან დიაგონალებით მართკუთხედი ტოლ-დიდ (ტოლი ფართობის მქონე) სამკუთხედებად იყოფიან, ამიტომ ერთის ფართობი იქნება 3, ხოლო სამის ერთად კი - 9.

მათემატიკური ამოცანები 40-ზე

საფარჯიშო: ა) მოცემულია მართკუთხედი, რომლის ფართობია 16. იპოვეთ გამუქებული ფიგურის ფართობი.



ბ) მოცემულია მართკუთხედი, რომლის ფართობია 15. იპოვეთ გამუქებული ფიგურის ფართობი.



გ) მოცემულია მართკუთხედი, რომლის ფართობია 20. იპოვეთ გამუქებული ფიგურის ფართობი.



30. გამოთვალეთ:  $\frac{\sqrt{110}}{\sqrt{44}}$ .

1) 10

2) 5

3) 0,25

4) 25

მათემატიკური ამოცანები 40-ზე

ამოხსნა: 5, რადგან  $\frac{\sqrt{110}}{\sqrt{4,4}} = \sqrt{\frac{110}{4,4}} = \sqrt{\frac{1100}{44}} = \sqrt{\frac{100}{4}} = \frac{10}{2} = 5$ .

საფარჯიშო: გამოთვალეთ: ა)  $\sqrt{110} \cdot \sqrt{11}$ ; ბ)  $\sqrt{10} \cdot \sqrt{40}$ ; გ)  $\frac{\sqrt{28}}{\sqrt{7}}$   
დ)  $\frac{\sqrt{128}}{\sqrt{2}}$ .

31.  $R$  რადიუსიანი ბირთვის ზედაპირის ფართობია.

1)  $S = 4\pi R^2$       2)  $S = \frac{4}{3}\pi R^2$       3)  $S = 2\pi R^2$       4)  $S = \pi R^2$

ამოხსნა:  $S = 4\pi R^2$ , რადგან ბირთვის ზედაპირის ფართობი მოიცემა  $S = 4\pi R^2$  ამ ფორმულით, ხოლო მოცულობა  $S = \frac{4}{3}\pi R^3$ -ით.

საფარჯიშო: ა) იპოვეთ 3-ის ტოლი რადიუსის მქონე ბირთვ-ის ზედაპირის ფართობი.

ბ) იპოვეთ 5-ის ტოლი რადიუსის მქონე ბირთვ-ის ზედაპირ-ის ფართობი.

გ) იპოვეთ 3-ის ტოლი რადიუსის მქონე ბირთვის მოცულო-ბა.

დ) იპოვეთ 5-ის ტოლი რადიუსის მქონე ბირთვის მოცუ-ლობა.

მათემატიკური ამოცანები 40-ზე

32. 6-ისა და  $x$ -ის საშუალო არითმეტიკული ტოლია 1-ის, 8-ის და 21-ის საშუალო არითმეტიკულის. იპოვეთ  $x$ .

1) 4

2) 12

3) 14

4) 20

**ამოხსნა:** 14, რადგან რამდენიმე სიდიდის საშუალო არითმეტიკული უდრის ამ სიდიდეთა ჯამი გაყოფილი მათსავე რაოდენობაზე, ამიტომ გვექნება

$$\frac{6+x}{2} = \frac{1+8+21}{3}$$

$$\frac{6+x}{2} = \frac{30}{3}$$

$$6+x = 20$$

$$x = 14$$

**სავარჯიშო:** ა) 6-ისა და  $x$ -ის საშუალო არითმეტიკული ტოლია 1-ის, 8-ის და 15-ის საშუალო არითმეტიკულის. იპოვეთ  $x$ .

ბ) 7-ისა და  $x$ -ის საშუალო არითმეტიკული ტოლია 1-ის, 8-ის და 21-ის საშუალო არითმეტიკულის. იპოვეთ  $x$ .

გ) 5-ისა და  $x$ -ის საშუალო არითმეტიკული ტოლია 10-ის, 18-ის და 23-ის საშუალო არითმეტიკულის. იპოვეთ  $x$ .

## მათემატიკური ამოცანები 40-ზე

დ) 2-ის, 4-ისა და  $x$ -ის საშუალო არითმეტიკული ტოლია 3-ის, 5-ის, 8-ისა და 12-ის საშუალო არითმეტიკულის. იპოვეთ  $x$ .

33. წესიერი ოთკუთხა პრიზმის გვერდითი წახნაგის ფართობი ტოლია  $24 \text{ სმ}^2$ , ხოლო სიმაღლე  $8 \text{ სმ}$ -ის ტოლია. რას უდრის ამ პრიზმის მოცულობა?.

- 1)  $32 \text{ სმ}^3$       2)  $54 \text{ სმ}^3$       3)  $72 \text{ სმ}^3$       4)  $192 \text{ სმ}^3$

**ამოხსნა:**  $72 \text{ სმ}^3$ , რადგან წესიერ ოთხკუთხა პრიზმას ფუძეში აქვს კვადრეტი, ამიტომ ფუძის გვერდი იქნება  $24:8=3 \text{ სმ}$ , ფართობი კი  $9 \text{ სმ}^2$ . პრიზმის მოცულობა გამოითვლება შემდეგი ფორმულით  $V = QH = abc$ , სადაც  $Q$  - ფუძის ფართობია, ხოლო  $H$  - სიმაღლე.  $a; b; c$  - პრიზმის განზომილებებია. აქედან, კი მარტივად ვასკვნით, რომ საძიებელი მოცულობა  $V = QH = 9 \cdot 8 = 72 \text{ სმ}^3$ .

**სავარჯიშო:** ა) წესიერი ოთკუთხა პრიზმის გვერდითი წახნაგის ფართობი ტოლია  $28 \text{ სმ}^2$ , ხოლო სიმაღლე  $7 \text{ სმ}$ -ის ტოლია. რას უდრის ამ პრიზმის მოცულობა?.

ბ) წესიერი ოთკუთხა პრიზმის გვერდითი წახნაგის ფართობი ტოლია  $30 \text{ სმ}^2$ , ხოლო სიმაღლე  $5 \text{ სმ}$ -ის ტოლია. რას უდრის ამ პრიზმის მოცულობა?.

## მათემატიკური ამოცანები 40-ზე

გ) წესიერი ოთკუთხა პრიზმის გვერდითი წახნაგის ფართობი ტოლია  $40 \text{ სმ}^2$ , ხოლო სიმაღლე  $8 \text{ სმ}$ -ის ტოლია. რას უდრის ამ პრიზმის მოცულობა?

დ) წესიერი ოთკუთხა პრიზმის გვერდითი წახნაგის ფართობი ტოლია  $57 \text{ სმ}^2$ , ხოლო სიმაღლე  $19 \text{ სმ}$ -ის ტოლია. რას უდრის ამ პრიზმის მოცულობა?

34. იპოვეთ  $5x^2 - 11x + 2 = 0$  განტოლების ფესვების ჯამი.

1)  $\frac{11}{2}$

2)  $\frac{11}{5}$

3) 11

4) -11

ამოხსნა:  $\frac{11}{5}$ , რადგან კვადრატულ განტოლებაში, ფესვთა ჯამი უდრის მეორე კოეფიციენტი შეფარდებული პირველთან შებრუნებული ნიშნით, ხოლო ფესვთა ნამრავლი უდრის თავისუფალი წევრი შეფარდებული პირველ კოეფიციენტთან თავისივე ნიშნით (ვიეტას თეორემა). პირველი კოეფიციენტი  $a = 2$ , მეორე კოეფიციენტი  $b = -11$  და თავისუფალი წევრი  $c = 2$  (მესამე კოეფიციენტსაც უწოდებენ) საიდანაც  $-\frac{b}{a} = -\frac{11}{2}$ .

სავარჯიშო:

მათემატიკური ამოცანები 40-ზე

ა) იპოვეთ  $2x^2 + 3x - 5 = 0$  განტოლების ფესვების ჯამი.

ბ) იპოვეთ  $-x^2 + 3x + 8 = 0$  განტოლების ფესვების ჯამი.

გ) იპოვეთ  $3x^2 - x = 0$  განტოლების ფესვების ჯამი.

დ) იპოვეთ  $7x^2 + 3x - 6 = 0$  განტოლების ფესვების ჯამი.

35. გამოთვალეთ:  $1035 : 23 =$

1) 56

2) 55

3) 45

4) 46

სავარჯიშო: ა)  $1311:57$     ბ)  $1817:23$     გ)  $1311:23$     დ)  $1002:3$

36. დაშალეთ მამრავლებად:  $16a^2 - 25b^2 =$

1)  $(4a - 25b)(4a + 25b)$

2)  $(4a - 5b)(4a + 5b)$

3)  $(16a - 25b)(16a + 25b)$

4)  $(16a - 5b)(16a + 5b)$

ამოხსნა:  $(4a - 5b)(4a + 5b)$ , რადგან შემოკლებული გამრავლების ერთერთი ფორმულის თანახმად

მათემატიკური ამოცანები 40-ზე

$$a^2 - b^2 = (a - b)(a + b), \text{ ამიტომ}$$

$$16a^2 - 25b^2 = (4a)^2 - (5b)^2 = (4a - 5b)(4a + 5b).$$

სავარჯიშო: ა)  $4x^2 - 9y^2 =$       ბ)  $16t^2 - 25p^2 =$

გ)  $x^2 - 3y^2 =$       დ)  $a^2 - 2b^2 =$

37. ქვემოთ ჩამოთვლილი რიცხვებიდან რომელია  $1/3$  ზე მეტი და  $1/2$  -ზე ნაკლები?.

1)  $1/4$

2)  $0,31$

3)  $7/12$

4)  $5/12$

ამოხსნა:  $5/12$ , რადგან  $\frac{1}{3} = \frac{4}{12}$ , ხოლო  $\frac{1}{2} = \frac{6}{12}$ , მათ შორის კი ცხადია არის  $\frac{5}{12}$ .

სავარჯიშო: ა) იპოვეთ ექვსი რიცხვი, რომელიც მოთავსებულია  $\frac{1}{5}$  და  $\frac{2}{3}$  შორის.

ბ) იპოვეთ წილადი, რომლის მნიშვნელია 16 და რომელიც მოთავსებულია  $\frac{7}{9}$ -სა და 1-ს შორის.

გ) იპოვეთ უდიდესი წილადი, რომლის მნიშვნელია 25 და რომელიც მოთავსებულია  $\frac{1}{5}$ -სა და  $\frac{3}{5}$ -ს შორის.

## მათემატიკური ამოცანები 40-ზე

დ) იპოვეთ უმცირესი წილადი, რომლის მნიშვნელია 30 და რომელიც მოთავსებულია 0,3-სა და 0,4-ს შორის.

ე) იპოვეთ წილადი, რომლის მნიშვნელია 12 და რომელიც მოთავსებულია 0,4-სა და 0,5-ს შორის.

38. იპოვეთ  $a$ , თუ  $2x^2 - ax - b = 0$  განტოლების ამონახსნებია  $-1$  და  $3$ .

1) 4

2) -2

3) 1

4) 2

**ამოხსნა:** 4, რადგან ვიეტას თეორემის თანახმად კვადრატული განტოლების ფესვების ჯამი უდრის მეორე კოეფიციენტი შეფარდებული პირველთან შებრუნებული ნიშნით, ამიტომ ჩვენს შემთხვევაში გვექნება  $\frac{a}{2} = -1 + 3$ , საიდანაც  $a = 2$ .

**სავარჯიშო:**

ა) იპოვეთ  $a$ , თუ  $2x^2 - ax - b = 0$  განტოლების ამონახსნებია  $1$  და  $3/2$ .

ბ) იპოვეთ  $a$ , თუ  $3x^2 - ax - b = 0$  განტოლების ამონახსნებია  $-1$  და  $2$ .

გ) იპოვეთ  $b$ , თუ  $2x^2 - ax - b = 0$  განტოლების ამონახსნებია  $-1$  და  $3$ .

დ) იპოვეთ  $b$ , თუ  $3x^2 - ax - b = 0$  განტოლების ამონახსნებია  $1$  და  $2/3$ .

მათემატიკური ამოცანები 40-ზე

39. რა ციფრი უნდა ჩავსვათ  $2304*01$  რიცხვში  $*$ -ის ნაცვლად, რომ მიღებული რიცხვი იყოფოდეს 9-ზე?

- 1) 1                      2) 3                      3) 6                      4) 8

ამოხსნა: 8, რადგან 9 - ზე იყოფა ის და მხოლოდ ის რიცხვები რომელთა ციფრთა ჯამი იყოფა 9-ზე, ამიტომ  $*$ -ის ნაცვლად, უნდა ეწეროს 8, რამეთუ  $2+3+0+4+8+0+1=18$ -ს ის კი იყოფა 9-ზე.

სვარჯიშო: ა) რა ციფრი უნდა ჩავსვათ  $2304*01$  რიცხვში  $*$ -ის ნაცვლად, რომ მიღებული რიცხვი იყოფოდეს 3-ზე?

ბ) რა ციფრი უნდა ჩავსვათ  $2304*05$  რიცხვში  $*$ -ის ნაცვლად, რომ მიღებული რიცხვი იყოფოდეს 5-ზე?

გ) რა ციფრი უნდა ჩავსვათ  $2304*$  რიცხვში  $*$ -ის ნაცვლად, რომ მიღებული რიცხვი იყოფოდეს 6-ზე?

დ) რა ციფრი უნდა ჩავსვათ  $2304*06$  რიცხვში  $*$ -ის ნაცვლად, რომ მიღებული რიცხვი იყოფოდეს 2-ზე? .

40. იპოვეთ  $y = x^2 + 1$  ფუნქციის მნიშვნელობათა სიმრავლე.

- 1)  $(-\infty; -1)$     2)  $[1; +\infty[$     3)  $[-1; 1]$     4)  $[0; +\infty)$

## მათემატიკური ამოცანები 40-ზე

**ამოხსნა:**  $[1; +\infty)$ , რადგან კვადრატული უნქციის მნიშვნელობათა სიმრავლე არის  $[-\frac{D}{4a}; +\infty[$ , როცა  $a > 0$  და  $]-\infty; -\frac{D}{4a}]$ , როცა  $a < 0$ . ამიტომ, ჩვენს შემთხვევაში გვექნება  $E(y) = [1; +\infty)$ , რამეთუ  $a = 1 > 0$ , ხოლო  $-\frac{D}{4a} = -\frac{-4}{4} = 1$ .

**საფარჯიმო:**

ა) იპოვეთ  $y = x^2 + 2$  ფუნქციის მნიშვნელობათა სიმრავლე.

ბ) იპოვეთ  $y = x^2 + 3$  ფუნქციის მნიშვნელობათა სიმრავლე.

გ) იპოვეთ  $y = 2 - x^2$  ფუნქციის მნიშვნელობათა სიმრავლე.

დ) იპოვეთ  $y = x^2 + x + 4$  ფუნქციის მნიშვნელობათა სიმრავლე.

41.  $ABC$  სამკუთხედში  $O$  არის სამკუთხედის მედიანების გადაკვეთის წერტილი. იპოვეთ  $BM$  მედიანა, თუ  $BO = 6$  სმ.

1) 8 სმ

2) 9 სმ

3) 12 სმ

4) 10 სმ

**ამოხსნა:** 9 სმ, რადგან სამკუთხედში მედიანები ერთ წერტილში იკვეთებიან და გადაკვეთის წერტილით ისინი იყოფიან 2:1 შეფარდებით წვეროს მხრიდან. ამიტომ, თუ  $BO = 6$ , მაშინ  $OM = 3$ , ხოლო  $BM = 9$ .

**საფარჯიმო:** ა)  $ABC$  სამკუთხედში  $O$  არის სამკუთხედის მედიანების გადაკვეთის წერტილი. იპოვეთ  $BM$  მედიანა, თუ  $BO = 3$  სმ.

## მათემატიკური ამოცანები 40-ზე

ბ)  $ABC$  სამკუთხედში  $O$  არის სამკუთხედის მედიანების გადაკვეთის წერტილი. იპოვეთ  $BM$  მედიანა, თუ  $OM = 6$  სმ.

გ)  $ABC$  სამკუთხედში  $O$  არის სამკუთხედის მედიანების გადაკვეთის წერტილი. იპოვეთ  $BM$  მედიანა, თუ  $BO = 8$  სმ.

დ)  $ABC$  სამკუთხედში  $O$  არის სამკუთხედის მედიანების გადაკვეთის წერტილი. იპოვეთ  $BM$  მედიანა, თუ  $OM = 5$  სმ.

42. როგორ შეიცვლება ჯამი, თუ მისი პირველი შესაკრები გაიზრდება 20 – ით, ხოლო მეორე – შემცირდება 15 – ით?.

1) არ შეიცვლება

3) შემცირდება 5-ით

2) გაიზრდება 5-ით

4) გაიზრდება 35-ით

**ამოხსნა:** გაიზრდება 5-ით, რადგან  $20 - 15 = 5$ .

**სავარჯიშო:** ა) როგორ შეიცვლება ჯამი, თუ მისი პირველი შესაკრები გაიზრდება 30 – ით, ხოლო მეორე – შემცირდება 11 – ით?.

ბ) როგორ შეიცვლება ჯამი, თუ მისი პირველი შესაკრები გაიზრდება 23 – ით, ხოლო მეორე – შემცირდება 17 – ით?.

გ) როგორ შეიცვლება ჯამი, თუ მისი პირველი შესაკრები გაიზრდება 44 – ით, ხოლო მეორე – შემცირდება 55 – ით?.

დ) როგორ შეიცვლება სხვაობა, თუ მისი პირველი შესაკრები გაიზრდება 20 – ით, ხოლო მეორე – შემცირდება 15 – ით?.

მათემატიკური ამოცანები 40-ზე

43. ოთხი ერთმანეთის მომდევნო მთელი რიცხვიდან ყველაზე მცირეა  $a$ . როგორ გამოისახება ამ რიცხვების საშუალო არითმეტიკული?

1)  $\frac{2a+3}{2}$

2)  $\frac{4a+1}{4}$

3)  $\frac{a+6}{4}$

4)  $\frac{4a+5}{4}$

ამოხსნა:  $\frac{2a+3}{2}$ , რადგან ოთხი მომდევნო რიცხვი,

რომელთაგან ყველაზე მცირეა  $a$ , არის  $a$ ;  $a+1$ ;  $a+2$  და  $a+3$ , მათი საშუალო არითმეტიკული ასე გამოითვლება

$$\frac{a+a+1+a+2+a+3}{4} = \frac{4a+6}{4} = \frac{2(2a+3)}{4} = \frac{2a+3}{2}$$

სავარჯიშო: ა) ოთხი ერთმანეთის მომდევნო მთელი რიცხვიდან ყველაზე მცირეა  $2a$ . როგორ გამოისახება ამ რიცხვების საშუალო არითმეტიკული?

ბ) ხუთი ერთმანეთის მომდევნო მთელი რიცხვიდან ყველაზე მცირეა  $a-1$ . როგორ გამოისახება ამ რიცხვების საშუალო არითმეტიკული?

გ) სამი ერთმანეთის მომდევნო მთელი რიცხვიდან ყველაზე მცირეა  $a+3$ . როგორ გამოისახება ამ რიცხვების საშუალო არითმეტიკული?

## მათემატიკური ამოცანები 40-ზე

დ) ოთხი ერთმანეთის მომდევნო მთელი რიცხვიდან ყველაზე მცირეა  $\frac{88}{9}$ . როგორ გამოისახება ამ რიცხვების საშუალო არითმეტიკული?

44. გამოსახეთ  $x$ -ი  $a$ -ს საშუალებით თუ  $4x - 6 = a$ .

1)  $\frac{2a+3}{2}$

2)  $\frac{4a+1}{4}$

3)  $\frac{a+6}{4}$

4)  $\frac{4a+5}{4}$

ამოხსნა:  $\frac{a+6}{4}$ , რადგან  $4x - 6 = a$ ;  $4x = a + 6$ ;  $x = \frac{a+6}{4}$ .

საფარჯიშო:

ა) გამოსახეთ  $x$ -ი  $a$ -ს საშუალებით თუ  $4x - 1 = 4a$ .

ბ) გამოსახეთ  $x$ -ი  $a$ -ს საშუალებით თუ  $2x - 2a - 3 = 0$ .

გ) გამოსახეთ  $x$ -ი  $a$ -ს საშუალებით თუ  $4x - 4a + 5 = 0$ .

დ) გამოსახეთ  $x$ -ი  $a$ -ს საშუალებით თუ  $3x + 40 = 7a$ .

45. კლასში 30 მოსწავლეა. მათმა 20%-მა მათემატიკის ტესტში მიიღო უმაღლესი შეფასება. რამდენმა მოსწავლემ ვერ მიიღო მათემატიკის ტესტში უმაღლესი შეფასება?

1) 6

2) 12

3) 20

4) 24

## მათემატიკური ამოცანები 40-ზე

**ამოხსნა:** 24, რადგან  $30\text{-ის } 20\% = \frac{30 \cdot 20}{100} = 6$ , ამიტომ უმაღლესი შეფასება ვერ მიიღო  $30 - 6 = 24$  მოსწავლემ.

**სავარჯიშო:** ა) კლასში 40 მოსწავლეა. მათმა 20%-მა მათემატიკის ტესტში მიიღო უმაღლესი შეფასება. რამდენმა მოსწავლემ ვერ მიიღო მათემატიკის ტესტში უმაღლესი შეფასება?.

ბ) კლასში 40 მოსწავლეა. მათმა 25%-მა მათემატიკის ტესტში მიიღო უმაღლესი შეფასება. რამდენმა მოსწავლემ ვერ მიიღო მათემატიკის ტესტში უმაღლესი შეფასება?.

გ) კლასში 30 მოსწავლეა. მათმა 20%-მა მათემატიკის ტესტში მიიღო უმაღლესი შეფასება. რამდენმა მოსწავლემ მიიღო მათემატიკის ტესტში უმაღლესი შეფასება?.

დ) კლასში 20 მოსწავლეა. მათმა 30%-მა მათემატიკის ტესტში მიიღო უმაღლესი შეფასება. რამდენმა მოსწავლემ მიიღო მათემატიკის ტესტში უმაღლესი შეფასება?.

46. იპოვეთ 2012 -ის თავისივე ციფრთა ჯამზე გაყოფისას მიღებული ნაშთი.

1) 0

2) 2

3) 5

4) 10

**ამოხსნა:** 2, რადგან  $2012 : 5 = 402(2)$  ანუ  $2012 = 402 \cdot 5 + 2$ .

**სავარჯიშო:** ა) იპოვეთ 2014 -ის თავისივე ციფრთა ჯამზე გაყოფისას მიღებული ნაშთი.

## მათემატიკური ამოცანები 40-ზე

ბ) იპოვეთ 2015 -ის თავისივე ციფრთა ჯამზე გაყოფისას მიღებული ნაშთი.

გ) იპოვეთ 2016 -ის თავისივე ციფრთა ჯამზე გაყოფისას მიღებული ნაშთი.

დ) იპოვეთ 2017 -ის თავისივე ციფრთა ჯამზე გაყოფისას მიღებული ნაშთი.

47. ტესტებში გიორგის მიერ მიღებული ქულებია 47, 55, და 47. ამ მონაცემებისათვის ქვემოთ ჩამოთვლილი რომელი დებულებაა ჭეშმარიტი?.

- 1) საშუალო < მოღა
- 2) მოღა < მედიანა
- 3) მოღა = მედიანა
- 4) საშუალო = მედიანა

**ამოხსნა:** მოღა=მედიანა, რადგან მონაცემთა საშუალო არის მათი ჯამი გაყოფილი მათსავე ჯამზე - საშუალო= $(47+55+47):3=49,(6)$ , მონაცემთა მოღა არის ის რიცხვი რომელიც ყველაზე მეტჯერ მეორდება - მოღა=47, მონაცემთა მედიანა არის რიცხვი რომელიც მათი ზრდი მიხედვით დალაგებისას შუაში აღმოჩნდება ან შუა ორის საშუალო არითმეტიკული - მედიანა=47. ამიტომ, მოღა=მედიანა.

**სავარჯიშო:** ა) ტესტებში გიორგის მიერ მიღებული ქულებია 27, 45, და 27. ამ მონაცემებისათვის ქვემოთ ჩამოთვლილი რომელი დებულებაა ჭეშმარიტი?.

## მათემატიკური ამოცანები 40-ზე

- 1) საშუალო < მოდა    2) მოდა < მედიანა    3) მოდა =მედიანა  
4) საშუალო = მედიანა

ბ) ტესტებში ლიას მიერ მიღებული ქულებია 37, 37, 55, და 47. ამ მონაცემებისათვის ქვემოთ ჩამოთვლილი რომელი დებულებაა ჭეშმარიტი?.

- 1) საშუალო > მოდა                      2) მოდა > მედიანა  
3) მოდა =მედიანა                      4) საშუალო = მედიანა

გ) ტესტებში ეკას მიერ მიღებული ქულებია 4, 4, 4, 5, და 4. ამ მონაცემებისათვის ქვემოთ ჩამოთვლილი რომელი დებულებაა ჭეშმარიტი?.

- 1) საშუალო > მოდა                      2) მოდა < მედიანა  
3) მოდა =მედიანა                      4) საშუალო = მედიანა

